ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 24 ივნისი, 2011 №148 (5529) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“ +„მარკესი“
8 ლარი
15 ივნისიდან




# როგორ აპირებდა ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში შემოსვლას

გვ.2



## ეროსი კიწმარიშვილი შსს-ს კომპრომატებს აბსურდს უწოდებს

## ნაციონალებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა იჩხუბეს

გვ.3



გრიგოლია „სანაიას სა მოს“ ამხელს

## დეპუტატებმა ელჩებს მხარი დაუჭირეს

გვ.5



## საქართველო მასშტაბურ პროვოკაციას გადაურჩა

გვ.2

გვ.6

## 26 მაისს საქართველოში დიქტატურა დამყარდა



გვ.3



## შსს-მ ქართული პარტია ამხილა

## გადასახადის ახალი სისტემის წინააღმდეგ პროტესტი უნდა გამოვხატოთ!

გვ.7





გვ.4

## ჩვენ არ გვეშინია, ჩვენ სიფრთხილეს ვიჩენთ

რატომ იქნება შეუ ლებელი აქციების გამართვა

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**4** ცოტნე გამსახურდიასთან მისი სულიერი მოძღვარი არ შეუშვეს

**7** 200 რუს სპეცრამზმელთან ერთად სტრატეგიული ობიექტების დაკავების გეგმა არასერიოზულია

**3** არასამთავრობო ორგანიზაციები 25 ივნისს პარლამენტის წინ ძალადობას გააპროტესტებენ

**7** ხელისუფლებას ადვოკატ ქეთი ბექაურის დევნაში ადანაშაულებენ

# ეროსი კიწმარიშვილი შსს-ს კომპრომატებს აბსურდს უწოდებს

ნათია ხურცილავა

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი ჩანაწერები და აღიარებითი ჩვენებები გამოაქვეყნა. ამჯერად შსს მიერ გამოქვეყნებული მასალა ირაკლი ოქრუაშვილსა და ქართულ პარტიას ეხება.**

ვანო მერაბიშვილის უწყებამ ერთი დღით ადრე დააანონსა საგანგებო პრესკონფერენციის შესახებ.

დაკავებულებს ბრალად ედებათ შეიარაღებული უკანონო ბანდფორმირებების შექმნა. თუმცა, ქართული პარტია მხოლოდ ორ დაკავებულზე ლევან ტერაშვილზე და დავით ჯარმელიშვილზე აცხადებს, რომ მათი პარტიის წევრია. დანარჩენი დაკავებულების იდენტიფიცირებას არ ახდენს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო პრესკონფერენციას ქართული პარტიის ოფისში გამოეხმაურნენ.

ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ მათ ბრიფინგი ჰქონდათ დაგეგმილი, თუმცა, შსს მასალების ნახვის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ აღნიშნულ საკითხზე სერიოზულად არ ესაუბრათ და მხოლოდ კომენტარით შემოფარგლულიყვნენ.

კიწმარიშვილმა ვანო მერაბიშვილს გემოვნება დაუწუნა. ფარულ ჩანაწერებს, სადაც ადამიანები ოქრუაშვილის საქართველოში ცხინვალის გავლით შემოსვლაზე საუბრობენ 200 რუსი სპეცრაზმელის თანხლებით, კინოსტუდია შსს მიერ გადაღებული ფილმი უწოდა.

— ის რაც მოისმინეთ, ეს არის თავიდან ბოლომდე გამოგონილი ისტორია და ამაში საზოგადოებას დარწმუნება არ სჭირდება. ეს არის აბსურდი. მე ვნახე კინოსტუდია შსს გემოვნების ბოლომდე დაცემა. რენი ჰარლინი მასთან შედარებით ფელინი და ანტონიონია. დონაძის და მერაბიშვილის გემოვნება უკვე გადავიდა ზღვარს მიღმა, რადგან ასეთი ტიპის აბსურდი დიდი ხანია არ მინახავს. შესაბამისად ყველაფერზე, რაზეც იქ საუბარია, დაწყებული ყუმბარების ამოთხრით, ირონიას იწვევს, მეტს არაფერს. თუ ერთ მომენტზე არ გავამახვილებთ ყურადღებას, ეს არის ადამიანური ტრაგედია. ადამიანების ოჯახებიდან აყვანა და მათი ოჯახების დატერორება. რამდენიმე წუთის წინ დასრულდა სასამართლო და არც ერთმა ადამიანმა, რომლებიც ამ საქმის ფიგურანტები არიან, არ ცნო თავი დამნაშავედ არანაირი ინფორმაციის თაობაზე. შესაბამისად ის, რაც აჩვენა შსს-მ, ქართული პარტიის პოზიციით თავიდან ბოლომდე ფალსიფიცირებული ისტორიაა. შესაბამისად, სერიოზული კომენტარები არ გექნებათ არც ერთ კითხვაზე, რაც უკავშირდება ამ საკითხს, — განაცხადა კიწმარიშვილმა.

რაც შეეხება აღიარებით ჩვენებებს, რომელზეც საუბრობენ შშს-ს მასალებში ადამიანები, ამაზე კიწმარიშვილი ამბობს, რომ ეს ანეკდოტია.

— გაჩვენებთ კლასიკურ მაგალითს, თუ როგორ ექცევა პოლიცია ციხეში მყოფ ადამიანს და როგორ შეიძლება ნებისმიერი მასალის მოპოვება. ეს რაც შეეხება სერიოზულ მასალას. ის, რაზეც ეს ადამიანები საუბრობენ, ქინძის დათესვაზე, „ზილზე" ამაზე უკვე სერიოზულად საუბარი არ შეიძლება. ეს არის ანეკდოტი, — ამბობს კიწმარიშვილი.

# როგორ აპირებდა ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში შემოსვლას



კიწმარიშვილი ირაკლი ოქრუაშვილის სატელეფონო ჩანაწერის ავთენტურობის დადასტურებას ითხოვს.

— ირაკლი ოქრუაშვილთან სატელეფონო საუბრის ავთენტურობა დაამტკიცოს მერაბიშვილმა. ჩვენ არც ვაპირებთ ამ თემაზე სერიოზულად საუბარს. აბსურდზე კომენტირებას ვანო მერაბიშვილთან. ვანო მერაბიშვილი არის ავტორი, ფანტაზია არის სააკაშვილის, შემსრულებელი მერაბიშვილი, პროდუსინგი გასაგებია ვისია. 12 ადამიანიდან, რომლებზეც საუბარია, გავარკვიეთ, რომ ორი ადამიანი არის ქართული პარტიის წევრი. ერთი არის აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულების ხელმძღვანელი ლევან ტერაშვილი, რომლის შესახებ ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. დანარჩენი ადამიანები, მეტ-ნაკლებად უკავშირდებოდნენ ირაკლი ოქრუაშვილს, ზოგი წარსულში თანამშრომლობის კუთხით, ისევე, როგორც უკავშირდებოდნენ ამ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს ან მუშაობდნენ იმ უწყებებში და იმ დროს, როდესაც ეს ვაჟბატონებიც მუშაობდნენ. ეს ყველაფერი არის დადგმული სპექტაკლი ერთი ნიშნით, — ამბობს კიწმარიშვილი.

ეროსი კიწმარიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის ჩამოგდებაზე საუბრობს, მაგრამ არა მსგავსი კომიკური ისტორიებით.

— რაგატკებიდან წინსვლა არის და ერთი ყუთი ასაფეთქებელი ნივთიერებები ჰქონია თურმე ქართულ პარტიას მომზადებული სააკაშვილის ჩამოსაგდებად. ჩვენ სააკაშვილს ჩამოვაგდებთ, მაგრამ არა ასეთი კომიკური ისტორიებით. ჩამოვაგდებთ ისე, როგორც იმსახურებს ასეთი ტიპის დიქტატორი. რაც შეეხება რაგატკებს, ეს სხვა ოფისებში მოიკითხონ, — განაცხადა კიწმარიშვილმა.

ქართულ პარტიაში გუშინ იმაზეც ისაუბრეს, თუ რა გზით აპირებენ სააკაშვილის ჩამოგდებას.

— სამოქალაქო აქტივობის გზით და ქართველი ხალხის მხრიდან განხორციელებული ნების რეალიზაციის გზით. ყველა მასალა, რომელიც ნაჩვენები იქნა, ვიმეორებ, ფალსიფიცირებულია და კომენტარისთვის ვანო მერაბიშვილს მიმართეთ. როდესაც დავიჭერთ ვანო მერაბიშვილს და იზოლატორში იქნება, ჟურნალისტებს მოგცემთ საშუალებას, რომ ვრცელი ინტერვიუ ჩაწეროთ მასთან იმის თაობაზე, თუ როგორ ახდენდა ფალსიფიცირებას ის, დონაძე და მისი მეგობრები. ის აღიარებითი ჩვენებები, რაც მოისმინეთ, ფალსიფიცირებულია. არანაირი მტკიცებულება მათ არ გააჩნიათ. ყველაფერი არის შექმნილი იმისთვის, რომ ქართული პარტიის წინააღმდეგ შეიქმნას გარკვეული პროპაგანდისტული ფონი შემდგომისთვის, — ამბობს კიწმარიშვილი.

ქართული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა იმ მიზეზებზეც ისაუბრა, თუ რატომ არ ჩამოვიდა საქართველოში ოქრუაშვილი.

— ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში ჩვენი მოთხოვნის გამო არ ჩამოვიდა. ჩვენ ვერ მოვახერხეთ იმ მომენტში დაგვერწმუნებინა მაშინდელი აქციის ორგანიზატორები, რომ მხოლოდ ერთიანი პოზიციით, მხოლოდ ყველა რესურსის გაერთიანების პირობებში იქნებოდა წარმატება მიღწეული. იმ მომენტში ბურჯანაძე რომ ყოფილიყო ადეკვატური, დღეს ვისაუბრებდით სრულიად სხვა რეალობაში. საქართველო ერთი თვის გათავისუფლებული იქნებოდა სააკაშვილის რეჟიმისგან. სანამ ეს რეჟიმი არსებობს, მათი ავადმყოფური ფანტაზია არ ილლება, მათ სხვა არსებობის მექანიზმი არა აქვთ და არც იციან, როგორ იარსებონ. 7 წლის მმართველობის თავზე ეს არის ყველაზე საზიზღარი ადამიანი, რომლის წასვლას სიხარულით შეხვდებიან, ტელევიზიით ვნახავთ ასი ათასობით ადამიანის ქუჩაში ზეიმს სააკაშვილის გაძევების შემდეგ. ჩვენ დავამხობთ ამ რეჟიმს იმ გზით, რა გზითაც ემხობა ტოტალიტარული, ავტორიტარული რეჟიმები, — ამბობს ეროსი კიწმარიშვილი და იქვე დასძენს, რომ ეს არ იქნება ერთი „ზილი".

კითხვა, ისევ აქტუალურია თუ არა ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლის საკითხი, კომენტარის გარეშე დატოვა კიწმარიშვილმა.

# საქართველო მასშტაბურ პროვოკაციას გადაურჩა

## ნაციონალები შსს-ს მუშაობით კმაყოფილები არიან

**მმართველი გუნდი შსს-ს მუშაობით კმაყოფილია. უმრავლესობის წევრები აღნიშნავენ, რომ სამართალდამცველების ქმედებები ოპერატიული, ეფექტური იყო, რითაც ქვეყანას ძალიან მნიშვნელოვანი საფრთხე აცდა სხვადასხვა ტიპის შეტაკებების თვალსაზრისით. ოპოზიცია კი შსს-ს მიერ ნაჩვენები მასალით მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩა.**

ნანა მიშელაშვილი

შსს-ს მიერ გავრცელებული მასალების მიხედვით, ირაკლი ოქრუაშვილი ვლადიკავკაზში იმყოფებოდა, საიდანაც რუს სპეცრაზმელებთან ერთად, ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შემოსვლას გეგმავდა.

ერთ-ერთი დაკავებულის მტკიცებით, ირაკლი ოქრუაშვილი აპირებდა 200 რუსი სპეცრაზმელის თანხლებით შემოსვლას, სადაც დახვდებოდა 20-მდე შეიარაღებული ქართული ჯგუფი, რის შემდეგ მათ საგუშაგოების განიარაღება უნდა განეხორციელებინათ. ერთ-ერთ საგუშაგოზე დაგეგმილი იყო შესვლა „ზილის" მარკის ავტომანქანით. ამის შემდეგ, აპირებდნენ გორში მდებარე სპეცრაზმის შენობაზე და შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოზე თავდასხმას.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ვახტანგ ბალავაძისთვის „ქართული პარტიის" ლიდერ ირაკლი ოქრუაშვილის გეგმებთან დაკავშირებით შსს-ს მიერ გავრცელებულ მასალებში ახალი არაფერი არ ყოფილა.

ვახტანგ ბალავაძის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებიდან გამომდინარე, ისედაც ცნობილი იყო, რომ იგი მოქმედებდა არა ღირსების და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ რუსეთის სპეცსამსახურის დავალებით.

დეპუტატის თქმით, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, თუ როგორ კარგად მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რადგან მან ირაკლი ოქრუაშვილის ზრახვები დროულად აღკვეთა. ბალავაძე აღნიშნავს, რომ ამით სიტუაცია არ არის დასრულებული და სურს საზოგადოებას შეახსენოს რუსეთის ფედერაციის გეგმები საქართველოში ტერაქტებთან დაკავშირებით.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური კი მიიჩნევს, რომ ირაკლი ოქრუაშვილს საკუთარი გეგმების განხორციელებაში ხელი ქართულმა საზოგადოებამ, პოლიტიკურმა ელიტამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა შეუშალა.

ნუგზარ წიკლაურის თქმით, 21-26 მაისი და წინმსწრები მოვლენები, რუსეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილი ტერაქტები საქართველოში, ქართული მიწების ოკუპაცია და პროვოკაციების მოწყობისთვის ხელშეწყობა მაისის მოვლენების დროს ერთიანი ჯაჭვის რგოლებია.

— მიმაჩნია, რომ დაგეგმილი იყო მასშტაბური პროვოკაცია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და სტაბილურობის წინააღმდეგ. სამართალდამცველების ქმედებები ამ შემთხვევაში აღმოჩნდა ოპერატიული, ეფექტური და ძალიან მნიშვნელოვანი საფრთხე ასცდა საქართველოს სხვადასხვა ტიპის შეტაკებების თვალსაზრისით, — მიაჩნია ნუგზარ წიკლაურს.

უმრავლსეობის ერთ-ერთი ლიდერის თქმით, უპირველესი, რის გამოც ვერ მოახერხეს გეგმის განხორციელება, იყო ის, რომ სახალხო მხარდაჭერა ამ აქციებისას აღმოჩნდა მინიმალურზე მინიმლური.

— ამ შემთხვევაში როგორც ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ, ქართველმა საზოგადოებამ, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შსს-ს სახით მინიმალური შანსიც კი არ დაუტოვა კოლაბორაციონისტებს, მიეღწიათ წარმატებას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, — აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა ჟურნალისტებთან საუბარში.

რაც შეეხება ალასანიას პარტიის პოზიციას, შსს-ს მიერ გავრცელებულ ოპერატიულ მასალას „თავისუფალი დემოკრატები" ხელისუფლების ჩვეულ სტილს



უკავშირებენ.

— ეს კადრები კიდევ ერთხელ ადასტურებს, როგორ შეუძლია პოლიტიკოსს დააყენოს საკუთარი ინტერესები სახელმწიფოსა და ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. ეს არ არის მხოლოდ ოქრუაშვილის, არამედ ზოგადად ამ ხელისუფლების პრობლემა, რომლის სტილი და მანერა ასეთ უპასუხისმგებლო და კერძო ამბიციით მოქმედებასთან არის დამოკიდებული. ოქრუაშვილი ამ ხელისუფლების ნაწილი იყო და ის, რაც დღეს ვიხილეთ, ამ ხელისუფლების სტილის და ქმედებების ნათელი დადასტურებაა, — აცხადებს ლევან იზორია.

პარლამენტის ოპოზიციონერი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე დარწმუნებულია, რომ „ქართული პარტია" სახელისუფლებო თამაშს ეწევა. დეპუტატის თქმით, „ქართული პარტიის" მიერ პოლიტიკური პროცესების მარგინალიზებით მისი როლის და შექმნის მიზნები საზოგადოებისთვის იმდენად მკაფიო და გამჭვირვალე გახდა, რომ პარტიის რეაბილიტირებას ახლა თავად ხელისუფლება ცდილობს.

— 21 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით „ქართული პარტიის" აქტივობამ საზოგადოებაში ძალიან ბევრი ცრუ მოლოდინი გააჩინა, რამაც პირდაპირ ხელისუფლების წისქვილზე დაასხა წყალი და რითაც აღნიშნული პარტიის რეალური არსი და შექმნის მიზანი გამოხატა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა მჯეროდეს შსს-ს მიერ გამოქვეყნებული ვიდეომასალების ავთენტურობის და მასში გადმოცემული სცენარებისა და გეგმების რეალურობის? რასაც ამ ყველაფერთან დაკავშირებით ვფიქრობ ისაა, რომ ხელისუფლება „ქართულ პარტიას" მაშველ რგოლად მოევლინა, — განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

ამდენად, გუშინ შსს-ს მიერ გავრცელებული მასალა საპარლამენტო ოპოზიციისა და უმრავლეობის წევრების მხრიდან განსხვავებული შეფასებების მიზეზი გახდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# შსს-მ ქართული პარტია ამხილა

## ოქრუაშვილი ვლადიკავკაზში მარტო ხაბიზგინების საჭმელად არ ჩასულა

თეა მარხვაია

**22 მაისს მშობლიური შსს დაგვპირდა, რომ გუშინ ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის სამაისო გეგმებს გაამხელდა. ეს განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქართული პარტიის თანათავმჯდომარის სოზარ სუბარის განცხადების შემდეგ გააკეთა, რომელმაც თავის მხრივ თანაპარტიელების დაკავების ფაქტი გააპროტესტა.**

ყველა ელოდა, რომ შსს რამე ახალ და სკანდალურს გვაუწყებდა. მათი განცხადება ისეთი დამაინტრიგებელი იყო, რომ რა ვიცი... თუმცა, ბევრი არაფერი ყოფილა. სიახლეც არაფერი იყო.

გვამცნეს, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი მაისში საქართველოში შემოსვლას ცხინვალიდან აპირებდა. ეს ხომ უკვე ვიცოდით. ამის შესახებ ხომ ნაციონალები ერთი თვის წინ საუბრობდნენ. ხელისუფლება იმასაც გვიმტკიცებდა, ოკუპანტებმა ოქრუაშვილის საქართველოში შემოსაყვანად სულ სისინა ტანკები გაამზადესო.

ამდენად, საყვარელმა პოლიციამ კოვზი ნაცარში ჩაგვიგდო. სკანდალის მომლოდინეებს ძველი ამბავიც შეგვრჩა ხელში. თუმცა სიახლეც იყო, თანაც როგორი. შსს-მ გვამცნო, რომ ირაკლი ოქრუაშვილი 22 აპრილს ვლადიკავკაში იმყოფებოდა.

შემთხვევითი არაა, რომ ოქრუაშვილი მაინცდამაინც 22 აპრილს ჩავიდა ვლადიკავკაზში. წლების განმავლობაში ის ცხინვალში ცხოვრობდა და ოსების ხასიათი კარგად შეისწავლა. ახსოვს, რომ ოსებს ძალიან უყვარდათ ლენინი. ჰოდა, გადაწყვიტა, სწორედ ლენინის დაბადების დღეზე სწვეოდა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიას.

როგორც ჩანს, ლენინის დაბადების დღეზე ოსებმა მაგარი პურმარილი გაშალეს. კაი ხაბიზგინები დაacxვეს და სახელგანთქმული ოსური ლუდიც მოხარშეს. ოქრუაშვილიც ამ სუფრაზე ჩავიდოდა. მოსწყინდებოდა ამდენი ხანი პარიზში ბაყაყების ჭამა.

ამის გარდა, ვლადიკავკაზიდან საქართველომდე სულ რაღაც 40 კილომეტრია და ცოტა ხნით მშობლიურ მთებსაც გახედავდა. აბა, სულ ეიფელის კოშკსა და მიუნხენის აეროპორტს ხომ არ უყურებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი ოქრუაშვილის ვლადიკავკაზურ ვოიაჟში კრიმინალური დეტალები აღმოაჩინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გაიშიფრა სქემა, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ირაკლი ოქრუაშვილის შემოსვლა ცხინვალიდან. კერძოდ, ამ სქემაში ფიგურირებენ ირაკლი ოქრუაშვილი, ოქრუაშვილის პირადი დაცვის წევრი გიორგი გაბროშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი უფროსი თამაზ ბეგიაშვილი, ასევე შიდა ქართლის სატყეოს ყოფილი უფროსი მალხაზ კაკაშვილი.



დაკავებულები არიან თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ბონდო კაკაშვილი, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ ქარელის დაცვის ყოფილი წევრი ზაზა ბეთლემიძე, მიხეილ ქარელის დაცვის ყოფილი უფროსი ხვიჩა მაჭარაშვილი, სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი დავით ჯარმელიშვილი, მიმალვაში იმყოფება მიხეილ ქარელის დაცვის ყოფილი წევრი გაბრიელ პავლიაშვილი, მიმალვაში იმყოფებიან ასევე, თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი იოსებ გიგუაშვილი, შიდა ქართლის სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი ხვიჩა საბაშვილი. დაკავებულები არიან თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი შალვა საბაშვილი, თავდაცვის მინისტრის აპარატის ყოფილი უფროსი, „ქართული პარტიის“ რეგიონალური კოორდინატორი ლევან ტერაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი კახა ტერაშვილი, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი გიორგი საათაშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი წევრი.

შსს-თვის მიცემულ ჩვენებაში გიორგი საათაშვილი ამბობს, რომ მალხაზ კაკაშვილი, თამაზ ბეგიაშვილი და ხვიჩა საბაშვილი აპრილის ბოლოს, ვლადიკავკაზში ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდნენ.

— როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, მალხაზ კაკაშვილის თქმით, აპრილის თვის ბოლოს, თვითონ და თამაზ ბეგიაშვილი გადავიდნენ სოფელ ზემო არცევში, სადაც დახვდათ ყოფილი სამხარეო პოლიციის უფროსი ხვიჩა საბაშვილი, რის მერეც, ორ რუს ოფიცერთან, სამხედრო ფორმაში ჩაცმულები ავტომანქანა „ვილისით“, რომლებიც ფსბ-ს მოწმობით სარგებლობდნენ, გადაიყვანა ორჯონიკიძეში, — აცხადებს მიცემულ ჩვენებაში საათაშვილი.

საათაშვილის განცხადებით, ეს სამი პიროვნება ვლადიკავკაზში, ერთ-ერთ შენობაში შეხვდნენ ირაკლი ოქრუაშვილს. საათაშვილის თქმით, ოქრუაშვილს თან ახლდა ერთი ქართველი და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ორი რუსი.

— ოქრუაშვილმა მათ დაავალა ადმინისტრაციულ საზღვრებზე განლაგებული ქართული პოლიციის საგუშაგოების კოორდინატების დადგენა, — ამბობს საათაშვილი.

მისი თქმით, კაკაშვილმა, თამაზ ბეგიაშვილმა და ყოფილი ფინანსური პოლიციის თანამშრომელმა, დათო ჯარმელიშვილმა საგუშაგოების კოორდინატები ოქრუაშვილს გადასცეს.

როგორც ჩვენებებიდან ირკვევა, ირაკლი ოქრუაშვილი აპირებდა 200 რუსი სპეცრაზმელის თანხლებით შემოსვლას, სადაც დახვდებოდა 20-მდე შეიარაღებული ქართული ჯგუფი, რის შემდეგ მათ საგუშაგოების განიარაღება უნდა განეხორციელებინათ.

— ერთ-ერთ საგუშაგოზე დაგეგმილი იყო შესვლა „ზილის“ მარკის ავტომანქანით. ამის შემდეგ, კაკაშვილის თქმით, აპირებდნენ გორში მდებარე სპეცრაზმის შენობაზე და შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოზე თავდასხმას, — აცხადებს საათაშვილი.

საათაშვილის აღიარებით, 22 აპრილს მას ტელეფონით დაუკავშირდა კახა ტერაშვილი და უზნაძის 113-ში განთავსებულ „ქართული პარტიის“ ოფისში მისვლა სთხოვა.

საათაშვილი 22 აპრილსვე მივიდა პარტიის ოფისში, სადაც კახა ტერაშვილის ძმას, ლევან ტერაშვილს შეხვდა. ეს უკანასკნელი ჩვენმა სამართალდამცავებმა მიმდინარე წლის 21 ივნისს დააკავეს. მომდევნო დღეს საგანგებო პრესკონფერენციაზე სოზარ სუბარმა მისი დაკავებაც გააპროტესტა.

აი რას ყვება საათაშვილი ლევან ტურაშვილთან გამართული შეხვედრის შესახებ:„მან მკითხა, მქონდა თუ არა მართვის მოწმობა და შევძლებდი თუ არა „ზილის“ მართვას. მე დავთანხმდი ამაზე. ამის შემდეგ მან „ზილის“ საფასური გადმომცა, რომლითაც „ზილი“ უნდა მეყიდა“.

ამ მრავალგზის ნახსენებ „ზილში“ რუსი სპეცრაზმელების ერთი ნაწილი უნდა ჩამჯდარიყო. მათთან ერთად უნდა ჩამჯდარიყო ირაკლი ოქრუაშვილი.

— „ზილი“ წავიყვანე სოფელ ჯარიაშენში, სადაც დამხვდა კახა ტერაშვილი. „ზილი“ სოფლის ერთ-ერთ ეზოში დავაყენეთ, რის შემდეგაც დავბინავდით მიტოვებულ ბინაში, — აცხადებს საათაშვილი.

მისივე თქმით, 22 აპრილის ღამეს, მათთან მივიდნენ მალხაზ კაკაშვილი, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის, მიხეილ ქარელის დაცვის წევრები, ხვიჩა მაჭარაშვილი და გია პავლიაშვილი. მათ კიდევ ორი პირი ახლდათ.

ჩვენი შსს-გან ასეთი ჩვენებების გავრცელებას მიჩვეული რომ არ ვყოფილიყავით, ალბათ მთელი ერი ლოყებს დაიხოკავდა, ამას რას გადავურჩითო, მაგრამ იმდენი რამე მოგვასმენინეს და თანაც იმდენჯერ, რომ აღარ გვჯერა.

ისე ერთი სიახლე ნამდვილად იყო, ადრე თუ იგორის ლაშქრობაზე გვიყვებოდა შსს ამბებს, ახლა ოქროსა და 200 რუსის ბალადას მოგვითხრობს. საინტერესოა, ვინ იქნება მორიგი ზღაპრის გმირი.

შესაძლოა ეს ყველაფერი სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ძნელია რამის დაჯერება. თუნდაც იმიტომ, რომ ხალხი, რომლებსაც სამი წლის წინ თითქმის სახელმწიფო გადატრიალებას აბრალებდნენ, ახლა პარლამენტში სხედან. ამდენად, გასაკვირი არ არის, მომავალ პარლამენტში ირაკლი ოქრუაშვილი და ბადრი ბიწაძეც ვიხილოთ.

მართალია „ზილთან“ მას არაფერი აქვს საერთო, მაგრამ რაგატკების გადატრიალებას ხომ აწყობდა. რაგატკა ხის ტოტისგან მზადდება. ხე ბუნებასთან არის კავშირში. ამდენად, ლოგიკურია თუ ახალ პარლამენტში ის გარემოს დაცვის კომიტეტს ჩაუდგება სათავეში. „ზილის“ მოყვარე ოქრუაშვილს კი შეიძლება დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი ჩააბარონ.

ეს ყველაფერი იქეთ იყოს და მგონი, ახლა ხდება ნათელი, რატომ შექმნა ხელისუფლებამ ზონდერები. თქვენ გგონიათ, ისინი მართლა ჩვენი მოსახლეობის დასარბევად უნდათ. არამც და არამც. ისინი სწორედ იმ რუსი სპეცრაზმელების გასაძუყნად შექმნეს, რომლებიც ჩვენთან „ზილით“ უნდა შემოსულიყვნენ.

ახლა არ დაიწყოთ, თუ რუსების გასაძუყნად არიან ეს ზონდერები, ქართველებს რატომღა ურტყესო. ვილაცა ხომ უნდა ეცემათ?

## არასამთავრობო ორგანიზაციები 25 ივნისს პარლამენტის წინ ძალადობას გააპროტესტებენ

25 ივნისს, 24:00 საათზე, მიტინგის დაშლიდან ერთი თვის თავზე უფლებადამცველები პარლამენტის წინ შეიკრიბებიან და ხელისუფლებისგან დამნაშავეების დასჯას კიდევ ერთხელ მოითხოვენ.

როგორც უფლებადამცავების განცხადებაშია ნათქვამი, კიდევ ერთხელ მოითხოვენ ხელისუფლებისგან საპარლამენტო კომისიის შექმნას 26 მაისს მომხდარი ძალადობის გამოძიების მიზნით; პოლიტპატიმრების (უკანონოდ დაპატიმრებულ პირთა)

დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და დაკარგულ პირთა მოძებნას; პოლიტიკური რეპრესიების, ღირსების შემლახავი მოპყრობის შეწყვეტას.

განცხადებაში ნათქვამია, რომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ხელისუფლება არაადამიანური სისასტიკით გაუსწორდა მშვიდობიან მომიტინგეებს.

— ჩვენ, უფლებადამცველები ვგმობთ ძალადობის, სისასტიკის, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისკენ მიმართულ ხელისუფლების ქმედებებს და მოვითხოვთ, ამ ტრაგედიის სამართლიანი გამოძიების ჩატარებასა და დამნაშავეთა დასჯას.

26 მაისს სამართალდამცავთა მხრიდან აქციის დარბევისა და მსხვერპლის გამო საერთაშორისო საზოგადოების, კერძოდ ევროპის საბჭოს, ევროკავშირის, გაერო-ს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, კონგრესმენების, ასევე საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადებები მოითხოვდნენ იქნა კომისიის შექმნა და ობიექტური გამოძიების ჩატარება, — ნათქვამია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# ნაციონალებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა იჩხუბეს

## გრიგოლია „სანაიას სა მოს“ ამხელს

თეა მარხვაია

**ხელისუფლებამ ნაგავი რომ გაგვიძვირა, გეცოდინებათ. სამაგიეროდ, იმას ვერ გაიგებდით, რა საერთო აქვს დენს და ნაგავს. ამის გაგებაში თავად ნაციონალებიც არ არიან, მაგრამ დედაბუდიანად იმის მტკიცებაში არიან, ასეთი კარგი რამე კაცობრიობის ისტორიაში არავის მოუგონიათ.**

ოპოზიციას კი ამის არ სჯერა. მათ შორის არც კონსტრუქციულ ოპოზიციას და თავიანთი განცხადებებით ჩვენზე ზრუნვაში დამაშვრალ ნაციონალებს ნერვებს უშლიან. ისინი თავის მხრივ სხვადასხვა ფორმებით იცავენ თავს.

თავდაცვაზე გადასვლა ნაციონალებს გუშინ ისანი-სამგორის რაიონში, კონკრეტულად კი ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე დასჭირდათ, რომელიც, როგორც გუშინ გაირკვა, საკრებულოს დეპუტატ ხვიჩა სანაიას უბანი ყოფილა.

ნაციონალების ნაცვლად სიკეთეების ბოლომდე ვერც ქრისტიან-დემოკრატები ამჩნევენ და დაუნახავი ქდმ ნაგავზე სასაუბროდ ხმელნიცკის ქუჩას მიადგა. ფრაქციის წევრები მოსახლეობას ამ ქუჩის №7-ში ხვდებოდნენ.



შეხვედრა ხეირიანად არც კი იყო დაწყებული, იქ რამდენიმე ჯანიანი და ნასუქი ჯეელი რომ მივიდა. როგორც საკრებულოს დეპუტატი ინგა გრიგოლია ამბობს, მათ შეკრებილებს კატეგორიულად მოსთხოვეს იქაურობის დატოვება.

— ისინი სპეცრაზმელებივით იქცეოდნენ. ამბობდნენ, აქ „ბირჟა“ არ არის, ეს ხვიჩა სანაიას უბანია და მისი სამეგობრო მის კრიტიკას არ დაუშვებსო. როცა სააკაშვილი გვიმტკიცებს, რომ ქურდული კანონები აღმოიფხვრა, მაშ, მის პოლიტიკურ ოპონენტებს საძმოებით რატომ გვემუქრებიან? როგორც ჩანს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო, რასაც ტერორის სახე აქვს, — აღნიშნა ინგა გრიგოლიამ.

მისი ინფორმაციით, „ნაციონალების“ აქტივისტები აღნიშნულ ქუჩას მას შემდეგ გაეცალნენ, რაც ერთ-ერთმა თქვა, სანაიამ დარეკა და დავიშალოთო.

— აღნიშნულ დაპირისპირებას თავად ხვიჩა სანაია ხელმძღვანელობდა, რის გამოც მისი, როგორც დეპუტატის, პასუხისმგებლობის საკითხს დასვამ, — განაცხადა გრიგოლიამ.

ქდმ-მ „სანაიას დაჯგუფების“ წევრებს სურათები ბლომად გადაუღეს და ინციდენტის მონაწილეთა ვინაობაც დაადგინეს.

— ინციდენტში მონაწილე რამდენიმე პირის ვინაობა უკვე დადგინდა. ესენი არიან: ზურაბ ძნელაძე, მამუკა რაზმაძე, ვალერი მუნჯიშვილი და პაატა კოპალეიშვილი, — ამბობს ინგა გრიგოლია.

საკრებულოს დეპუტატი თავის კოლეგას ტელედებატებშიც იწვევს, სადაც რალაცა-რაღაცეების გარკვევას აპირებს.

— ხვიჩა სანაიას ვიწვევ სატელევიზიო დებატებში, თუ რომელიმე ტელევიზიას ექნება სურვილი, გაარკვიოს, რას ნიშნავს, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი „საძმოების“ ენაზე გველაპარაკება, — აცხადებს გრიგოლია.

ისანში მომხდარი ინციდენტი სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც გააპროტესტეს. აღშფოთება და შეშფოთება გამოხატეს. ამასთან დაგვპირდნენ, რომ ხელისუფლება ასეთი საძმოებითა და ზონდერებით ოპოზიციას ვერ შეაშინებენ.

# ჩვენ არ გვეშინია, ჩვენ სიფრთხილეს ვიჩენთ

## რატომ იქნება შეუძლებელი აქციების გამართვა

ქეთი ხომერიკი

**„საქართველოს ხელისუფლებამ ის პასუხისმგებლობა, რომელიც ჰქონდა, აეცილებინა საქართველოსთვის მორიგი რუსული ოკუპაცია, ბრწყინვალედ შეასრულა. ასე რომ, არაპოპულარულ განცხადებებს ამ თარიღთან დაკავშირებით არ ვერიდები და ვიმეორებ, ის ადამიანები, რომლებიც, 26 მაისს გააზრებულად, თუ გაუაზრებლად საქართველოს სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას უქმნიდნენ საფრთხეს, უნდა დასჯილიყვნენ“, — აცხადებს ხაბაზი.**



„ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელ კობა ხაბაზს ესაუბრა.

**კობა ხაბაზი:**

— დროთა განმავლობაში ნებისმიერი კანონი გარკვეულ დახვეწას და ცვლილებებს საჭიროებს. ვიმეორებ, გარკვეული რეალობების, ან ვთქვათ, რაღაც მომხდარი ფაქტების გამო აღმოჩნდება ხოლმე, რომ ესა თუ ის კანონი გარკვეულ დახვეწას ითხოვს და მე ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. იგივე მოხდა „მანიფესტაციების და შეკრებების“ კანონთან დაკავშირებით. მაისის აქციებმაც დაგვანახა ეს, თუმცა მე არ ვთვლი, რომ ეს არის გადამწყვეტი, რადგან ჯერ კიდევ აქციამდე იყო გარკვეული შენიშვნები საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ამ კანონთან მიმართებაში. მინდა გითხრათ, რომ ეს ცვლილებები ვენეციის კომისიასთანაც შეთანხმებული იყო. გარდა ამისა, ვიმეორებ, 26 მაისის მოვლენებმა აჩვენა, რომ ეს კანონი გარკვეულ დახვეწას საჭიროებდა და რატომ აღიქვამენ ამას ასე მტკინვეულად, ვერ ვხვდები.

***— ოპოზიციური ძალები აღნიშნავენ, რომ აქციის ჩატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება...***

— დიახ, აქციის ჩატარება იქნება შეუძლებელი მაშინ, თუკი ამ აქციაზე 5 კაცი იქნება და ეს 5 კაცი კოსტავას ქუჩის გადაკეტვას მოინდომებს. დიახ, იქნება აქციის ჩატარება შეუძლებელი, თუკი შენ იქ მცხოვრებ ადამიანებს გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებს შეუქმნი. იცით, ხელისუფლება მხოლოდ ადამიანთა ერთი ჯგუფის ინტერესებს ვერ დაიცავს. ხელისუფლება ვალდებულია, როგორც მომიტინგეების, ისე არამომიტინგეების და ყველა ადამიანის უფლებები დაიცვას. მაშინ, როცა ხელჯოხებითა და ხელკეტებით შეიარაღებული რამდენიმე ადამიანი კეტავს ქუჩას და გაუსაძლის პირობებს უქმნის იქ მაცხოვრებელ ადამიანებს, ბუნებრივია, ხელისუფლება ვალდებულია, ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში დაარეგულიროს და მოაწესრიგოს. ამიტომაც შედის ამ კანონში ეს ცვლილებები. ცნობისთვის, ვენეციის კომისიის დასკვნა ამ ცვლილებებზე გაცილებით ადრე იყო დადებული და ჩვენ მაშინ არ მივიღეთ ეს ცვლილებები, რადგან ასეთ შემთხვევაში, ეს ჯგუფები იტყოდნენ, რომ სპეციალურად ღებულობთ კანონში ამ ცვლილებებს, რათა ჩვენ ხელი შეგვიშალოთ აქციის ჩატარებაშიო. ამიტომ მხოლოდ იმ აქციების დასრულების შემდეგ გადავწყვიტეთ კანონში ამ ცვლილებების შეტანა.

***— თქვენ ვენეციის კომისია ახსენეთ, იცით, ხიდაშელი საპირისპიროს ამტკიცებს და აცხადებს, რომ ვენეციის კომისიამ ამ კანონში შესატანი ცვლილებები არ მოგიწონათ...***

— იცით, მე ვერ დავუჯერებ ხიდაშელს, მე დავუჯერებ იგივე კუბლაშვილს და იმ ჩემს თანაგუნდელებს, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობენ. ჩემთვის ხიდაშელი არ არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომლის სიტყვებშიც მე ეჭვი არ უნდა შევიტანო.

***— ითქვა ისიც, რომ ხელისუფლება შეშინებულია და კანონში ცვლილებები ამიტომაც შეაქვს, მართლა ასე ძალიან შეშინდა მმართველი გუნდი, ბატონო კობა?***

— მმართველი გუნდი შეშინებული არ არის, მაგრამ ხელისუფლება არის ფრთხილი. საერთოდაც, როდესაც ვსაუბრობთ აქციებზე, მე ყოველთვის გავყოფდი და განვასხვავებდი ამა თუ იმ აქციას ერთმანეთისაგან, ანუ განვასხვავებდი აქციას, რომელზეც ხალხის გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ საკითხზე პროტესტს გამოხატავს და აქციებს, რომელსაც გარე ძალების დაკვეთით საქართველოში 1921 წლის მოვლენების განვითარება აქვს გეგმაში. აი, აქ ძალიან დიდ ზღვარს გავავლებდი და ასეთ რიტორიკულ კითხვასაც კი დავსვამდი. 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას რომ ჰქონოდა იმის შნო და უნარი, რომ მოეხერხებინა და დაეპატიმრებინა შულავერის კომიტეტის წევრები, ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე, ტალახში ეგორავებინა, დაეწვინა წვიმაში ასფალტზე, მეტიც, გემრიელადაც გამასპინძლებოდა და საქართველო გადარჩენილიყო იმას რაც მოხდა, აი, მაშინ თუ ვინმე მეტყოდა, რომ ადამიანების უფლებები დაირღვა და ამით კატასტროფა მოხდა, მე, უბრალოდ, გამეღიმებოდა და ვეტყოდი ამ შემთხვევაში, საქართველო გადარჩებოდა 70-წლიან რუსულ ოკუპაციას და დღეს, კაცმა არ იცის, რა დონეზე იქნებოდა და როგორი ძლიერი სახელმწიფო იქნებოდა-მეთქი. დიახ, ამ შემთხვევაში საქართველო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იქნებოდა. ასე რომ, თუ ადამიანების მოქმედება ემუქრება სახელმწიფოებრიობას, აბსოლუტურად არ ვინერვიულებ, ასეთ ადამიანებს წვიმაში,თუ დააწვენენ და სათანადოდ თუ დასჯიან. იცით, საქართველოში 9 აპრილმა დაამკვიდრა გარკვეული სინდრომი და გეტყვით, რაც. 9 აპრილს მოხდა ტრაგედია, რუსულმა ძალებმა ათობით ქართველი ადამიანის სისხლი დაღვარა, სხვათა შორის, მე 9 აპრილის მონაწილე ვიყავი. აი, 9 აპრილის შემდეგ დამკვიდრდა ასეთი რამ, რომ თითქოსდა, ადამიანების მიმართ ყველა ხელისუფლებას ეკრძალება ძალის გამოყენება. არა ბატონო, ძალის გამოყენება არც ერთ ხელისუფლებას არ ეკრძალება და პრინციპული ზღვარი უნდა გაივლოს აქ მაშინდელი 9 აპრილის მოვლენებსა და სხვა მოვლენებს შორის, ანუ არასდროს არ უნდა შეადარო სხვა აქცია 9 აპრილს, რადგან იქ იყო ბრძოლა თავისუფლებისთვის.

***— ამბობენ, როდიონოვმა არ გააკეთა ის, რაც თქვენ... ხელისუფლებამ აქციის მონაწილეები ალყაში მოაქცია, რატომ არ მიეცით მანიფესტანტებს იქიდან წასვლის საშუალება?***

— ვინც ამას ამბობს, ან გააზრებულად, ან ქვეცნობიერად მისტირის და ოცნებობს საქართველოს ყოფნაზე რუსეთის შემადგენლობაში. მსგავსი ფრაზები მეც მოვისმინე, კონკრეტულად, მახარაძის და ორჯონიკიძის გამგრძელებლის — ნინო ბურჯანაძისგან მოვისმინე ის, რომ როდიონოვსაც კი არ გაუკეთებია ის, რაც გავაკეთეთ ჩვენ. ბურჯანაძეს დაავიწყდა, რომ იმ პერიოდში ჩვენ იქ ვიყავით და თავად კი არ იმყოფებოდა იქ და გაიხსენოს ეს ძალიან კარგად. მაშინ ჩვენ ზუსტად ვიცოდით, რისთვისაც ვიბრძოდით, ჩვენ ვიბრძოდით ქვეყნის თავისუფლებისთვის და არავითარი ძალაუფლების და ხელისუფლებაში მოსვლისათვის იქ ბრძოლა არ ყოფილა, პირიქით, ვიმეორებ, იქ იყო ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ და 26 მაისის აქცია კი იყო საქართველოში ოკუპანტების შემოყვანისთვის ბრძოლა.

***— თქვენ დარწმუნებული ხართ და გულწრფელად აცხადებთ ამას, ბატონო კობა?***

— დიახ, ყველაფერი ამაზე მიუთითებს, არსებობს იურიდიული მტკიცებულებები, ჩანაწერები და ა.შ. ხომ? თუმცა, მოდით, ამას შევეშვათ. მე ვარ პოლიტიკოსი და არა იურისტი, რომელსაც მაქვს პოლიტიკური ალღო და ინტუიცია, ამიტომ მე შემიძლია შევაფასო მოვლენები და გავიხსენო ბურჯანაძის სიტყვები. ის აცხადებდა, კარგი იქნება თუ ბევრი ხალხი მოვა, თუმცა, ხალხის ეს რაოდენობაც არის საკმარისი ჩვენი მიზნების განსახორციელებლად, ჩვენ გვაქვს ძალა და ჩვენ ვიცით, რას ვაკეთებთ. მე თითქმის ყველა აქციის მონაწილე ვიყავი და ზუსტად ვიცი, ხალხის რაოდენობა რაოდენ მნიშვნელოვანია აქციის ორგანიზატორებისთვის, ისევე როგორც სხვა პარტიების შემოერთება. აი, ეს არის პრინციპული, ბურჯანაძისთვის კი ეს არ იყო მნიშვნელოვანი, პირიქით, ის წინააღმდეგი იყო სხვა პარტიების შემოერთების და სულ არ აინტერესებდა მას, ხალხი მივიდოდა აქციაზე, თუ არა, რატომ? იმიტომ, რომ მას ჰქონდა გეგმა, ის იყო დაიმედებული რუსეთისგან, რომ დესტაბილიზაციის შემთხვევაში ისინი შემოიყვანდნენ ჯარებს და ბურჯანაძეს, ასე ვთქვათ, გვირგვინის განაწილება არ უნდოდა სხვისთვის. აი, ამიტომ არ უნდოდა, სხვა ოპოზიციური ძალები რომ დადგომოდნენ გვერდით. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი ამ სცენარით იყო დაგეგმილი, უბრალოდ, ბურჯანაძეს დაავიწყდა ერთი რამ — რუსეთის ინტერესებში მისი გაპრეზიდენტება კი არ შედის, არამედ დესტაბილიზაცია საქართველოში. ამ შემთხვევაში, ბურჯანაძე მარტივად იყო წამოგებული ამ პროვოკაციულ სცენარზე, რომ თუ ის აქ დესტაბილიზაციას გამოიწვევდა, უკვე რუსეთი დაეხმარებოდა.

***— თუ ბურჯანაძეს რუსეთი უმაგრებდა ზურგს, მაშ, რაღატომ არ დაეხმარა?***

— იმიტომ რომ წინააღმდეგობა საფუძველშივე იქნა აღკვეთილი და მივდივართ სწორედაც იქამდე, თუ რატომ არ მივეცით იმ ხალხს წასვლის საშუალება. უკაცრავად, მაგრამ ვისთვის მიგვეცა ამის საშუალება, ფარებით, მოლოტოვის კოქტეილებით და ხელჯოხებით შეიარაღებული ადამიანებისთვის მიგვეცა საშუალება იმისა, რომ ერთად გადაადგილებულიყვნენ თავისუფლების მოედანზე პირობითად და იქ მოეწყოთ რაიმე? შემდეგ გადაადგილებულიყვნენ სხვაგან და იქ აერიათ სიტუაცია? აი, ეს იყო სწორედ მათი მიზანი. რა თქმა უნდა, ეს აქცია უნდა დაშლილიყო. ვიმეორებ, ეს აქცია სხვაგან კი არ უნდა გადაგვეტანა, არამედ უნდა დაგვეშალა და აბსოლუტურად, სწორად გათვლილი სქემით იმოქმედეს სამართალდამცავებმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ მოხდებოდა უკვე მოლოტოვის კოქტეილების გამოყენება, შტურმი შენობებზე, ცეცხლის წაკიდება და ა.შ.

***— აქცია 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და ეს ადამიანები მსგავს რამეს თუ გეგმავდნენ, რატომ არ გააკეთეს? რას ელოდებოდნენ, დავიჯეროთ, ვერ გაითვალისწინეს, რომ ხელისუფლება ადრე თუ გვიან აქციას დაარბევდა?***

— იცით, აქციის პირველივე დღეს რომ გაეჩინათ ხანძარი, ცოტა გულუბრყვილობა იქნებოდა. გარკვეულ დონემდე უნდა მიეღწია და შემდეგ იზამდნენ ამას. მათ მხოლოდ ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს, რუსეთი ბურჯანაძის გაპრეზიდენტებით კი არ იყო დაინტერესებული, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, დესტაბილიზაციით. ჩემი ვარაუდით, ბოლო დღეებში კიდევაც მიხვდა ბურჯანაძე, რომ რუსეთისგან ამ მხარდაჭერას არ მიიღებდა და ამიტომ მოუწოდა ხალხს — შემოგვიერთდითო. ბოლო დღეებში ისტერიკა გაჩნდა მის ხმაში, ის მიხვდა, რომ რამდენიმე ათეული კაცით მოწყობილი დესტაბილიზაციით რუსეთი ნაბიჯს არ გადადგამდა და ამიტომ დაიწყო ის ისტერიკა. შემდეგ სხვა სცენარი მოიფიქრეს, ალლუმის ჩაშლის მცდელობა გამოიწვევდა დაპირისპირებას, რომელიც მას ამ ჩიხიდან გამოიყვანდა. ბურჯანაძეს უკვე ორივე აწყობდა, ერთი ის, რომ დაეშალათ მისი აქცია, ან მოეხდინა იმ დონის დესტაბილიზაცია, რომ ჯერ ყინწვისში დაბანაკებული რაზმები ჩართულიყვნენ საქმეში და

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ცოტნე გამსახურდიასთან მისი სულიერი მოძღვარი არ შეუშვეს

პატიმრობაში მყოფი ცოტნე გამსახურდია თითქმის ერთი კვირაა ზიარების მისაღებად თავის სულიერ მოძღვართან მეუფე თეოდორესთან შეხვედრას ითხოვს, თუმცა უშედეგოდ.

როგორც გუშინ ცოტნე გამსახურდიას ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განაცხადა, ცოტნე გამსახურდია ზიარების მიღების შემდეგ შიმშილობის შეწყვეტას აპირებდა, თუმცა გუშინ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტ მეუფე თეოდორე ჭუაძეს მსჯავრდებულთან შეხვედრაზე უარი უთხრა.



ადვოკატი მიიჩნევს, რომ მინისტრი ბოროტად იყენებს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას და თავისი ქმედებით სიცოცხლისთვის სახიფათო მდგომარეობაში აყენებს მოშიმშილე ცოტნე გამსახურდიას.

— მოვითხოვ შეწყდეს პოლიტპატიმარ ცოტნე გამსახურდიას მიმართ სასტიკი და ღირსების შემლახავი მოპყრობა. ის დაუყოვნებლივ იქნეს გადაყვანილი სამოქალაქო ტიპის კლინიკაშო ადეკვატური მკურნალობის ჩასატარებლად. მისი ოჯახის წევრებს ნება დაერთოს მიაწოდონ მას ყველა საჭირო მედიკამენტი და დაუშვან მასთან ოჯახის მიერ არჩეული ნევროპათოლოგი და ფიზიოთერაპევტი, — განაცხადა ბექაურმა.

მისი თქმით, ცოტნე გამსახურდიასთან დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაშვებული მეუფე თეოდორე.

აღნიშნულ მოთხოვნას გამსახურდიას ადვოკატი მონიტორინგის ჩატარების მიზნით უახლოეს მომავალში გადაუგზავნის საქართველოს მთავარ პროკურორს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, საქართველოს სახალხო დამცველსა და საერთაშორისო წითელი ჯვრის თბილისის წარმომადგენლობას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილმა ცოტნე გამსახურდიამ მის მიმართ ადმინისტრაციის მხრიდან ჩადენილი ქმედებების გამო, პროტესტის ნიშნად, 30 მაისს სად ის 18-ე სამკურნალო დაწესებულებაში უვადო შიმშილობა გამოაცხადა.

მედიანიუსი

# უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო

2011 წლის 22 ივნისს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაამთავრა მსჯავრდებულ ზვიად ხარებავას საკასაციო საჩივრის განხილვა და მიიღო გადაწყვეტილება, საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 სექტემბრის განაჩენით, ზვიად ხარებავა ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა ხარებავასა და მასთან დაკავშირებული ჯგუფის წევრების მიერ თაღლითობის ჩადენაში, კერძოდ, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ასევე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა.

თაღლითობის ფაქტი მდინარე რიონზე ნამახვანჰესის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარე შეფასებითი ანგარიშის მომზადება-დამტკიცებას შეეხებოდა, რომელიც ჯგუფის წევრებს კონკრეტული თანხის სანაცვლოდ უნდა მოეგვარებინათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ზვიად ხარებავას მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით, მასვე 3 წლის ვადით ჩამოერთვა სამეწარმეო საქმიანობის უფლება. მსჯავრდებულის ადვოკატმა, ჯერ სააპელაციო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის უცვლელად დატოვების შემდეგ, საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში შემოიტანა.

საკასაციო პალატა, სისხლის სამართლის საქმისა და საკასაციო საჩივრის შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ზვიად ხარებავას საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნას დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად, კერძოდ:საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება, ასეთებია:ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არცერთი ზემოაღნიშნული საფუძველი. უზენაეს სასამართლოში აღნიშნულ საქმეზე წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის შესწავლის დროს, მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევები. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა, ასახულია ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, როგორც სამართლებრივი, ასევე საპროცესო შეფასების თვალსაზრისით.

ამდენად, უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის განვითარებისა და სრულყოფისათვის, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ჩვენ არ გვეშინია, ჩვენ სიფრთხილეს ვიჩენთ

დასაწყისი მე-4 გვერდზე

შემდეგ რუსეთი ამ პროცესში. მას უკვე ორივე ეს სცენარი აწყობდა, რადგან ასკაციანი აქციით სამარცხვინო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, ხედავდა, რომ ვერავითარი მხარდაჭერა და ხალხის შემოერთება ვერ მოიპოვა.

***— თუ სახელმწიფო გადატრიალება იგეგმებოდა, რატომ არ მიმართა ხელისუფლებამ პრევენციულ ზომებს, თქვენ რაღას ელოდებოდით?***

— დღეს სამი ძირითადი შეკითხვა ისმის. პირველი, რატომ არ დავუტოვეთ გასასვლელი მომიტინგეებს, ვიმეორებ, შეიარაღებული ადამიანებისთვის უნდა მიგვეცა გზა, რომ ვთქვათ, საკრებულო დაერბიათ? ამაზე უკვე გესაუბრეთ, მეორე, თუ რატომ იყო სამასი ათასი სპეცნაზელი გამოყვანილი, ე.ი. იმდენი პოლიციელი უნდა გამოგვეყვანა, რომ მოგვრეოდნენ? და პირიქით, ხელკეტებით შეიარაღებულ ადამიანებს ეცემათ პოლიციელები? გამოვიყვანეთ ის ძალა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ აქციის დაშლას და მესამე, წინასწარ რატომ არ გავაკეთეთ განცხადება. ანუ ასეთ დროს მათთვის მეორე, მესამე და მეოთხე გეგმის ამოქმედების საშუალება უნდა მიგვეცა? თუ ჩვენ გამოვიდოდით და ამ განცხადებას გავაკეთებდით, იმ წამსვე სხვანაირ მექანიზმს და სქემას აამოქმედებდნენ, ხომ? როდესაც შენს წინააღმდეგ არის რუსეთი, ის ძალა, რომელიც ადამიანს გონებაში აზრად რომ არ მოუვა ისეთი მზაკვრული აზრებით მოქმედებს და შენ გაქვს ეს ინფორმაცია, ბუნებრივია, ელოდები და საჭირო მომენტში გამოიყენებ და დაარტყამ ამით.

***— კი მაგრამ, ხალხს რომ სცოდნოდა, აქცია რუსეთიდან იმართებოდა, იქ აღარ მივიდოდა....***

— მოდით, გავყოთ 21 და 26 მაისის აქცია, ანუ 21-ში, რა თქმა უნდა, არ მივიდოდა ხალხის ის ნაწილი, რომელიც იქ იყო მისული, თუმცა, ჩვენ არაერთი განცხადება გავაკეთეთ და გარკვევით ვთქვით, რომ ეს არის რუსული სცენარი. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანში ეჭვი მაინც არსებობდა, რომ ეს იყო რუსული დაკვეთა. თუნდაც ის ფაქტიც, როგორ ეახლებოდა ორჯონიკიძის საქმეების გამგრძელებელი ბურჯანაძე მეფის კარზე და ხვდებოდა პუტინ-მედვედევს და იმ ადამიანებს, რომელთა ხელებიც ქართველების სისხლში არის მოსვრილი, ყველას ახსოვს. ბოლო დღეებში იმ ადამიანებს, რომლებიც იქ იყვნენ, ვფიქრობ, რომ საკმაოდ კარგად ჰქონდათ გააზრებული, რაც ხდებოდა. 1000 კაციდან შეიძლება 50-მა არ იცოდა, სად და რაზე მიდიოდა და ვთქვათ, ფინანსური დაინტერესების გამო იყვნენ იქ, მაგრამ დანარჩენებს, ყველას კარგად ჰქონდა გააზრებული, თუ სად მიდიოდნენ და რას აკეთებდნენ. ასე რომ, წინასწარ იმის თქმა, რომ მსგავსი სცენარი მუშავდებოდა, ჩვენგან მხოლოდ და მხოლოდ, ერთ შედეგს მოიტანდა რუსეთი შეეცდებოდა სხვა არხებით, მექანიზმებით და სქემებით ემოქმედა.

***— გასაგებია, თუ აქცია დასაშლელი იყო, დაგეშალათ, მაგრამ ისე, რომ ადამიანები სიკვდილის პირამდე არ მიეყვანათ სამართალდამცავებს, ეს არ შეიძლებოდა? არ თვლით, რომ სამართალდამცავებმა ძალას გადაამეტეს?***

— აი, აქ ჩემი და ბევრი ჩემი თანაგუნდელის აზრი არ ემთხვევა. ბევრ ჩემს თანაგუნდელს მიაჩნია, რომ პოლიციელებმა ძალას გადააჭარბეს, მე კი ასე არ ვთვლი. მიმაჩნია, რომ სერგო ორჯონიკიძეს და ფილიპე მახარაძეს გაცილებით მძიმედ უნდა გაუსწორდნენ, ვიდრე მოხდა იმ დღეს. რა თქმა უნდა, მე არავის ცემა და დაპატიმრება არ მესიამოვნება, მე სულ აქციებში ვმონაწილეობდი და ვიცი, ეს რა არის, მეც არაერთხელ ვუცემივარ იქ, ადამიანს ვერ იპოვი, რომ თქვას, ხაბაზს ვინმეს ცემა ან დაკავება გაუხარდებაო, მაგრამ როდესაც საქმე მიდგება მახარაძე-ორჯონიკიძეზე, შულავერის კომიტეტზე და სამშობლოს გამყიდველებზე, ლმობიერი ნამდვილად ვერ ვიქნები.

***— დამნაშავეები თუ იყვნენ, დაგეკავებინათ და ამით ყველაფერი დამთავრდებოდა, ითქვა, რომ უამრავი ადამიანი დაიღუპა, ბატონო კობა...***

— ცნობილია, რომ მხოლოდ 4 ადამიანია გარდაცვლილი. იცით, 9 აპრილის შემდეგ ხეები გავსებული იყო წარწერებით დაღუპულების შესახებ. ჩემი გვარიც იყო გამოკრული ერთ-ერთ ხეზე დაღუპულთა შორის და რომ ჩამოვხსენი, ერთმა ქალმა ლამის სუკის აგენტი მეძახა, რატომ ხსნიო და რომ ვუთხარი — მე ვარ-მეთქი, არაფრით დამიჯერა. ასე რომ, მე ჭორების არ მჯერა, ცნობილია, რომ 4 ადამიანია დაღუპული.

***— რატომ დააკავეთ მხოლოდ აქციის მონაწილეები და არა ორგანიზატორები, რომლებიც, თქვენი თქმით, სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ?***

— ეს ძალიან მარტივია, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას კანონის უპატივცემულობას აბრალებენ, დაკავებულები არიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლების მიმართაც კონკრეტული მტკიცებულებები არსებობს და აი, ესეც მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება კანონს არ არღვევს. საუბარია იმაზე, რატომ არ ვაკავებთ ბურჯანაძეს, არსად არ ფიგურირებს ბურჯანაძე კონკრეტული დარღვევებით, სხვები კი წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციელებს და იყვნენ შეიარაღებულები და ამიტომაც დააკავეს. აი, მაგალითად, ბურჯანაძის მეუღლის მიმართ რომ არსებობს მტკიცებულებები, მასზე ძებნაა გამოცხადებული და სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ხომ?

***— დაბოლოს, ეკისრება თუ არა 26 მაისის მოვლენებზე ხელისუფლებას პასუხისმგებლობა?***

— რა თქმა უნდა, ყოველთვის გვეკისრება პასუხისმგებლობა, ხელისუფლება ამას ვერასდროს გაექცევა. მიმაჩნია, რომ ამჯერადაც საქართველოს ხელისუფლებამ ის პასუხისმგებლობა, რომელიც ჰქონდა, აეცილებინა საქართველოსთვის მორიგი რუსული ოკუპაცია, ბრწყინვალედ შეასრულა. ვიცი, ბევრი ადამიანის გაღიზიანებას გამოიწვევს ეს, მტკივნეულიც იქნება და არაპოპულარულ განცხადებას ვაკეთებ, მაგრამ ვიმეორებ, აქ ჩემთვის საქმე საქართველოს თავისუფლებას ეხება. მე ამას ვხედავ ამ ჭრილში. სამშობლო კი ერთი გაქვს ადამიანს, ასე რომ, არაპოპულარულ განცხადებებს ამ თარიღთან დაკავშირებით არ ვერიდები და ვიმეორებ, ის ადამიანები, რომლებიც იმ დღეს გააზრებულად, თუ გაუაზრებლად საქართველოს სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას უქმნიდნენ საფრთხეს, უნდა დასჯილიყვნენ. ხელისუფლებამ შეაჩერა ის გეგმა, რომელიც ჰქონდა რუსეთს. მე დანამდვილებით არ ვიცი, შემოვიდოდნენ თუ არა რუსის ჯარები, თუმცა, საფრთხე ამისი არსებობდა, ანუ მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ შემოსვლა თუ არა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ დესტაბილიზაცია, არეულობა ან თუნდაც რუსული ჯარების შემოსვლა, ქვეყნისთვის მომაკვდინებელი ამ დარტყმების აცილება თავიდან საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო. ასე რომ, იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ხელისუფლებას ჰქონდა აღებული, წარმატებით გაართვა თავი.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# დეპუტატებმა ელჩებს მხარი დაუჭირეს

ნანა მიშელაშვილი



პარლამენტის სამი კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე რამდენიმე ქვეყანაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩების კანდიდატურები განიხილეს. საგარეო ურთიერთობათა, ევროპასთან ინტეგრაციისა და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატებმა ელჩების კანდიდატურას მხარი დაუჭირეს.

საქართველოს პრეზიდენტმა საზღვარგარეთის ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში პარლამენტს დასამტკიცებლად შემდეგი კანდიდატურები წარუდგა: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში — მამუკა გამყრელიძე, დანიის სამეფოში — ნიკოლოზ რთველიაშვილი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში — გიორგი ბადრიძე, ფინეთის რესპუბლიკაში — კონსტანტინე ქავთარაძე, სლოვენიის რესპუბლიკაში — ალექსანდრე ნალბანდოვი და ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირში და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში — კონსტანტინე გამსახურდია.

დეპუტატებმა ფარული წესით ინდივიდუალურად კენჭი უყარეს და მხარი დაუჭირეს ელჩების კანდიდატურების პლენარულ სხდომაზე გატანას.

გუშინ პარლამენტში იმყოფებოდა მამუკა გამრელიძე, რომელიც ჩინეთში საქართველოს ელჩად ინიშნება. მამუკა გამყრელიძე რუსთავი 2-ის გადაცემა — „ვის უნდა 20 ათასის" წამყვანია.

მამუკა გამყრელიძე სხვადასხვა წლებში მუშაობდა: შპს „კონიმექსის" გენერალურ დირექტორად, შპს „ნიკიტსკიე ვოროტას" გენერალურ დირექტორად, შპს „ნოვაია სლობოდას" გენერალურ დირექტორად. 2010 წლიდან დღემდე არის შპს „გლობალ მედია ჯგუფის" დირექტორი. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

დანიაში საქართველოს ახალი ელჩი ნიკოლოზ რთველიაშვილი იქნება. დანიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნიკოლოზ რთველიაშვილის კანდიდატურა პრეზიდენტმა პარლამენტს რამდენიმე დღის წინ წარუდგინა.

ნიკოლოზ რთველიაშვილი სხვადასხვა წლებში მუშაობდა: საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო ნატოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, 2008 წლიდან დღემდე არის საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი. ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

რაც შეხება ირლანდიაში, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, ფინეთში და სლოვენიაში ელჩებს, მათი თავიდან გადანიშვნა მოხდება.

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ" კანონში ცვლილებების გამო ელჩების აკრედიტაციის წესი შეიცვალა, რის გამოც აუცილებელი გახდა ელჩების თავიდან გადანიშვნა. პარლამენტის მიმართ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან თხოვნა იყო, რომ რადგან ელჩების მხოლოდ გადანიშვნა ხდება საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით, სამი ელჩის თბილისში ჩამოსვლა სავალდებულო არ იყოს.

ელჩების კანდიდატურებს პარლამენტი პარასკევს, რიგგარეშე სხდომაზე უყრის კენჭს.

# სუბარი ელჩებს შეხვდა

ნათია ხურცილავა



ქართული პარტიის ოფისში გუშინ პარალელურად საქართველოში აკრედიტებული საელჩოების წარმომადგენლებს დახურულ კარს მიღმა შეხვდა „ქართული პარტიის" თავმჯდომარე სოზარ სუბარი.

ქართული პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური მდივნის მოადგილე ჰანნა ეიბენშტაინერი, საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელი დევიდ გეილი, ასევე საქართველოში ევროკავშირის მისიის პოლიტიკური მდივნის წარმომადგენელი ნინო ღუდუშაური.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ სოზარ სუბარმა განაცხადა, მან სტუმრებს გააცნო ქართული პარტიის წევრების პოლიტიკური დევნის კონკრეტული შემთხვევები, მათ შორის, პარტიის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის ვიცე-თავმჯდომარე გოჩა კაკოიშვილის წამების ფაქტი.

— განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბოლო შემთხვევაზე, როდესაც ლევან ტერაშვილს იარაღი ჩაუდეს. იარაღი რომც ჰქონოდა, ტერაშვილი მას სახლში როგორ გააჩერებდა მას შემდეგ, რაც წინა დღეს ძმა დაუჭირეს? და საერთოდ, ლევანს რამე შეთქმულებაში რომ ჰქონოდა მიღებული მონაწილეობა, მიმალვისთვის საკმაო დრო გააჩნდა. ამიტომ, მის მიმართ წაყენებული ბრალდება მხოლოდ ვანო მერაბიშვილის ინსინუაციას ემყარება, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე თქმით, ქართული პარტია უცხოელ დიპლომატებს სისტემატიურად მიაწვდის ინფორმაციას პარტიის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ.

## პრეს-რელიზი ნარკოკარტელის საქმეზე

2011 წლის 3 ივნისს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა სააპელაციო საჩივრის განხილვა ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენზე საერთაშორისო ნარკოკარტელის წევრთა მიმართ. საქმეზე პირველი მოსმენა 2011 წლის 2 მარტს შედგა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გადაწყვეტილება 12 სასამართლო სხდომის შემდეგ გამოიტანა. სააპელაციო სასამართლომ შეისწავლა სს საქმის მასალები და სააპელაციო საჩივრების საფუძვლიანობა. როგორც სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დაადგინა, საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულების მიერ მათზე შერაცხული ქმედების ჩადენას.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში შემოტანისა და უკანონო ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებისათვის ნუგზარ ბოჭორიშვილს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ანასტასია ზაუტაშვილს, გიორგი ჩეჩელაშვილსა და რომან მესუმიანს კი 30-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ. ნარკოკარტელის კიდევ ერთ წევრს მევლუდ სვანიძეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვისათვის სასამართლომ 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სააპელაციო სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ თემურ გავაშელიშვილის მიმართ. სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა მისი სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა და გაითვალისწინა, რომ მსჯავრდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან. თემურ გავაშელიშვილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნარკოტიკების საერთაშორისო ტრანზიტში მონაწილეობისთვის დადებული მსჯავრი დანაშაულის დაფარვაზე გადააკვალიფიცირა და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პრესსამსახური**

## სოფელ ჭანდარში ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი აღმოჩნდა

გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში, ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე კლდე ჩამოიშალა, რის შედეგადაც ნამოსახლარი აღმოჩნდა. ადგილზე ნივთები იპოვეს, რომელიც წინასწარი ინფორმაციით, ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ნამოსახლარი 3 მეტრზე მიწით არის დაფარული.

**მედიანიუსი**

## მთავრობა გურიაში „ნაბეღლავი ჰესის" მშენებლობაზე ინტერესთა გამოხატვას აცხადებს

მთავრობა გურიაში „ნაბეღლავი ჰესის" მშენებლობაზე ინტერესთა გამოხატვას აცხადებს. ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ჰესის მდინარე გუბაზეულზე უნდა აშენდეს, ჰიდროელექტროსადგურის სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 1.99 მგვტ-ია.

ჰესის მშენებლობით დაინტერესებულ პირთა განაცხადები სამინისტროში 6 ივლისის ჩათვლით მიიღება.

**ინტერპრესნიუსი**

# 26 მაისს საქართველოში დიქტატურა დამყარდა

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ნონა გაფრინდაშვილთან

*— ქალბატონო ნონა, პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო მანიფესტაციებისა და შეკრებების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები, რა მიზანს ემსახურება თქვენი აზრით ეს ყველაფერი?*

— მიიღებენ, რატომ არ მიიღებენ, ამ ქვეყანაში არც მთავრობა არსებობს და არც პარლამენტი. 26 მაისმა გააფორმა დიქტატურა და ახლა უბრალოდ ცდილობენ მოგვიკლან პროტესტის გამოთქმის საშუალება. იმდენი უბედურება ჩაიდინეს, რომ ებღაუჭებიან თავის სკამებს, მაგრამ მუდმივი არაფერი არაა. ისეთ კანონს ამტკიცებენ, რომ თუ მოწინააღმდეგე ჰყავთ ძლიერი, ყველანაირად შეეძლებათ მოსდონ შარი და უვადო პატიმრობა მიუსაჯონ. უვადოს უსჯი და რისთვის?!

*— თუ პოლიციელს ან მისი ოჯახის წევრს შეურაცხყოფას მიაყენებ...*

— იციან რა დონის დანაშაულებები აქვთ ჩადენილი და ამით ცდილობენ ჯერჯერობით მაინც თავიანთი ოჯახის წევრები დაიცვან. ამ ეტაპზე სიწყნარეა, მაგრამ ამით ვერ გააჩერებენ უკმაყოფილების ტალღას. ხალხმა ეს ყველაფერი ვერ უნდა მოითმინოს, ვისაც ასეთი დამონებული ცხოვრება ურჩევნია, კი ბატონო, მაგრამ ვიმეორებ, მუდმივი არაფერი არ არსებობს, მთავარია ეს დროში არ გაიწელოს.

*— სახალხო კრება თუ აპირებს ამ კუთხით გააქტიურებას?*

— ჩვენ გააქტიურებულები ვართ, მაგრამ დღეს სახალხო კრების ძალიან ბევრი წევრი დაჭერილია, თუ ვინმე გარეთ არის, იმათაც იჭერენ. ბადრი ბიწაძეს საერთოდ რისთვის მიუსაჯეს დაპატიმრება, მე არ ვიცი. ამდენი შემოგზავნილი აგენტი იყო და ჩვენ რომ სუფთები არ ვყოფილიყავით, აქამდე ყველა საბუთი და კომპრომატი მოძიებული და დადებული ექნებოდათ. მე რაგატკით და კოქტეილით მოწყობილი გადატრიალება არ მინახავს, მაგრამ არც რაგატკა მინახავს და არც კოქტეილი ამ აქციებზე. ასევე უნდა ვთქვა, რომ ყველა გადაწყვეტილებას იღებდა საბჭო და თუ რამე პრეტენზიები აქვთ, ჩვენთან მოვიდნენ. უბრალოდ, ამით უნდათ, რომ ქალბატონ ნინოს პრობლემები შეუქმნან.

*— ხელისუფლებას ეგონა, რომ ბურჯანაძე გადაიხდიდა 100 ათას ლარს?*

— არაფერს არ გადაიხდის და არც რაიმე გარიგებაზე წავა, ამაში ვარ 100%-ით დარწმუნებული. მე წავიკითხე, მთელი სასამართლო როგორ მიდიოდა, ეს სასწაულია უბრალოდ. ჩვენთან არც სასამართლო არსებობს. ერთი კაცი რასაც იტყვის, მერე ყველა თავდაყირა დგება. აი, ეგ არის ჩვენი უბედურება. საშინელებაა ამ ყველაფრის ყურება. არ შეიძლება იმის მოსმენა, რასაც სააკაშვილი ჩვენს ისტორიაზე ლაპარაკობს, რითაც თავი მოგვქონდა, გაგვინადგურა პრაქტიკულად. უმძიმესი ვითარებაა ქვეყანაში შექმნილი, რომელი სფერო გინდა ავიღოთ, რომ კატასტროფული მდგომარეობა არ იყოს.

*— სამაგიეროდ, 100 მლნ-ია გამოყოფილი ახალი პარლამენტისთვის, რომელიც ქუთაისში შენდება...*

— პარლამენტი თუ ქუთაისში იქნება, მაშინ მთავრობაც იქით უნდა გადაიყვანონ, აბა, როგორ უნდა იყოს ასე დანაწევრებული? თუმცაღა რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნება, პარლამენტი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. ისეთი ხალხი ჰყავს შიგნით, რომ მის დაძახებაზე ყველა სმენაზე დგას, აი ეგ არის უბედურება. რომელიმე სტრუქტურა ასრულებს თავის ფუნქციას? ან პრემიერ-მინისტრი თუ ასრულებს თავის მოვალეობას? დღეს ჩვენ ერთი კაცის ქვეყანაში ვცხოვრობთ. მით უმეტეს, ამხელა თანხებზეა საუბარი, ასი მილიონი. ყოველწლიურად უამრავი თანხა იხარჯება მათ პიარაქციებზე, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედი შიმშილობს. გარდა ამისა, ნახეთ, კიდევ რას აკეთებენ? დენს უნდათ რომ მიუერთონ დასუფთავების გადასახადი. წარმოუდგენელი რაღაცაა უბრალოდ, რა შუაშია დენი და რა შუაშია ნაგავი?! და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც ჩვენ დენიც ძვირი გვაქვს და გაზიც. ყველანაირად ცდილობენ ამ დამძიმებულ ცხოვრებაში კიდევ უფრო მეტი პრობლემები შეუქმნან ხალხს. მე გეტყვით, ეს რა მიზანს ემსახურება, ყოველდღიურად იმიტომ აუარესებენ ადამიანის ყოფას, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა დატოვოს საქართველო. ამათ საქართველო არ სჭირდებათ ქართველებით და მისი ძირძველი მოსახლეობით. ამათი მიზანია, რომ რაც შეიძლება ცოტა დარჩეს აქ. ისედაც ძალიან ძვირი გამოდის დენის გადასახადი თვიურად და თურმე ნაგვის საფასურიც გახარჯული ელექტროენერგიის მიხედვით უნდა გადავიხადოთ. უბრალოდ, გამკვირვებია, ხალხი ასე წყნარად როგორ არის. მით უმეტეს, ჩვენ ხომ ვიცით, როგორ უჭირს ხალხს. იმ პროცენტზე არ მაქვს ლაპარაკი, რომლებიც რესტორნებს და გასართობ ადგილებს არ თმობენ, თუმცა ასეთი ხომ ძალიან ცოტაა, უდიდეს ნაწილს ხომ ძალიან უჭირს?!



*— ალბათ, დრო სჭირდება და აუცილებლად იხეთქებს...*

— მეც ასე მგონია, უბრალოდ, რაც დიდხანს გაგრძელდება, მით უფრო მძიმე იქნება შემდეგ ამ ყველაფრის მოშუშება და დაბრუნება. ნელ-ნელა ვკარგავთ კიდევ ბევრ რამეს, რაც უკვე დაკარგულია იმის გარდა. არ ვიცი, რა ვთქვა... ძალიან მძიმე სიტუაციაა. ჩვენ არ გავჩერებულვართ და არც გავჩერდებით, უბრალოდ, ჭრილობების მოშუშება მიდის. გეტყვით, რომ ჩვენ ძალიან საინტერესო ფილმი გავაკეთეთ 26 მაისზე, რომელსაც მალე გაეცნობა საზოგადოება. ამ ფილმს გაეცნობიან უცხოეთშიც. გეტყვით, რომ ქალბატონი ნინო ძალიან სერიოზულად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ამჟამადაც ბრიუსელში იმყოფება. შეიძლება გარედან არ ჩანს და სხვებს მიწყნარებული ჰგონია სიტუაცია, მაგრამ ასე არ არის. უნდაც ის, რასაც იურისტთა ასოციაცია აკეთებს, ახალგაზრდა იურისტთა ორგანიზაციამ ძალიან სერიოზული გამოძიების მასალები დადო, ასევე საერთაშორისო უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა ძალიან საინტერესო დოკუმენტაცია გამოაქვეყნეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ შეიძლება ეს ისე არ გუგუნებს, მაგრამ ხმაური ნამდვილად არის. ეს გაგრძელდება და დარწმუნებული ვარ, ეს მუხტი არ დაეცემა. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, როგორი იყო 9 აპრილის შემდგომი პერიოდი, 9 აპრილის შემდეგაც იყო გარკვეული სიჩუმე, მერე ნელ-ნელა იმატა, იმატა და საბოლოოდ ისევ გამძაფრდა სიტუაცია. არ შეიძლება 26 მაისის დავიწყება და ამის წაშლა თავიდან. მე მხოლოდ ახლა გამოვდივარ მდგომარეობიდან. მორალურ მხარეზე არ ვიძახი, მორალურად გაცილებით ადრე გამოვედი, მე ვსაუბრობ ფიზიკურ მხარეზე, თუმცაღა იმ სცენებს ვერ ვივიწყებ, სულ თვალწინ მიდგას... იმ ადამიანებზე რაღა ვთქვათ, ვინც გარდაცვლილია, ვისაც დღემდე მალავენ და ვინც ციხეებშია კიდევ.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ უფრო დიდია გარდაცვლილთა რიცხვი?*

— რა თქმა უნდა. 40 კაცი ჯერ კიდევ დაკარგულია და მტკვარმა რომ გამორიყა ამდენი გარდაცვლილი, ექსპერტიზის გარეშე, უცბად რომ ასაფლავებენ და ოჯახები ხმას რომ არ იღებენ, ერთი გამაგებინა, ასეთს რას აშინებენ ამ ოჯახებს, განა მეტი უარესი რაღა უნდა მოხდეს ოჯახში?! ამაზე უარესს რაღას გაგიკეთებენ?! ასევე ამ მოსამართლეებმაც პასუხი უნდა აგონ, ყველამ, ვინც ამ მარაზმში მონაწილეობს. როგორ შეიძლება ადამიანს მიუსაჯო იმისთვის, რისი უფლებაც კონსტიტუციურად აქვს. ჩვენ ფილმი რომ გავაკეთეთ, იქ ძალიან კარგად ჩანს ყველაფერი, თუ რისთვის ვიყავით და რატომ ვიყავით გამოსულები. ჩვენ ბანერებიც კი წაგვართვეს წინა დღეებში, რომელზეც ეწერა — ვიბრძვით დემოკრატიისთვის, ვიბრძვით დემოკრატიული არჩევნებისათვის. ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, გაიძახოდა, არ ვიცით, სახალხო კრებას რა უნდაო. რაღა არ იცოდნენ, ყველა ჩვენს ინტერვიუში, ყველა ჩვენს გამოსვლაში ვაფიქსირებდით, ჩვენ ვთვლით, რომ რაც არ უნდა საარჩევნო გარემო გაუმჯობესდეს, ვერ ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები, ეს რეჟიმი დემოკრატიულ არჩევნებს არ ჩაატარებს. ამიტომ უნდა მოვიცილოთ ეს რეჟიმი და შემდეგ ჩავატაროთ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები და ხალხმა მისცეს თავისი მანდატე იმას, ვისაც აირჩევს. თუ ეს გაუგებარია ადამიანისთვის, მე არ ვიცი... ამის მეტი რაღა უნდა თქვა ადამიანმა. ეს იყო ჩვენს ბანერებზე და მოგვტაცეს, რომ ის არ გამოჩენილიყო, მარტო დატივეს ერთი ბანერი, „მიშა, წადი“ რომ აწერია.

*— თქვენ განაცხადეთ, რომ ყველანაირი ინფორმაცია გროვდება, ფილმიც არის ამის შესახებ გადაღებული, რამდენად მწვავე იქნება საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია, როდესაც რეალურ ინფორმაციას მიიღებენ?*

— რეაქციები უკვე წამოვიდა და ეს სიმწვავე თანდათან მოიმატებს. თუმცა ამ ხელისუფლებას სერიოზული ზეწოლა სჭირდება, სერიოზულმა ორგანიზაციებმა მკაცრად უნდა თქვან თავის სიტყვა და მე ვფიქრობ, რომ ეს აღარ არის შორი, ასეთი რაღაცა დიდხანს ვერ დაიმალება.

*— ასევე მინდა რვიანის საქმიანობის შესახებ გკითხოთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება მათი საქმიანობის მიმართ?*

— რვიანის მიმართ მე ჩემი პირადი დამოკიდებულება მაქვს. მე ვთქვი და ვიმეორებ, რომ რვიანი ეწევა ხელისუფლებასთან ვაჭრობას იმასთან დაკავშირებით, პროცენტები როგორ გადანაწილდეს. ამას ვიტყვი ყოველთვის და ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე. აბა, მე ვერ გამიგია, ამდენი ხანი სხედან, ჯერ არაფერი გაუმჯობესებულა. ეს ხელისუფლება მანიფესტაციის ჩატარების და გარეთ გამოსვლის უფლებას არ გაძლევს, დადგომის საშუალება არ მოგვცეს, რომ პროტესტი გამოგვეხატა, კონსტიტუციურ უფლებას გვართმევენ და ამ დროს ესენი კიდევ არჩევნებზე ლაპარაკობენ ამ ხელისუფლების ხელში. აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო მათზე. თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ რაც არ უნდა მოლაპარაკებულები იყვნენ რაღაც პროცენტებზე, ამათაც გადააგდებენ და რაღაც მიზერულს დაუტოვებენ.

*— თუ დაგვჭირდა, ჩვენც გამოვიყვანთ ხალხს ქუჩაშიო, ხომ აცხადებს რვიანი?*

— ვერ გამოიყვანენ. თუ ისინი გამოიყვანენ თუნდაც იმდენ ხალხს, რაც ჩვენ პირველ დღეს გამოვიყვანეთ, დაახლოებით 30 ათას კაცს, თუ რვიანი ერთად გამოიყვანს 30 ათას კაცს, მე მათ ბოდიშს მოვუხდი. ხალხს არა აქვს არჩევნების რწმენა, რასაც მე ვლაპარაკობ, ეს მარტო ჩემი აზრი არაა. გაიარეთ და დაელაპარაკეთ ხალხს, რას გეტყვიან ამის შესახებ. ამდენი არჩევნები გამოვიარეთ, ყველამ ხომ კარგად ვიცით, როგორ ტარდებოდა ეს არჩევნები, ვის უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ესენი ჩაატარებენ ნორმალურ არჩევნებს. კანონში შეაქვთ ისეთი ცვლილებები, რომ სკამები შეინარჩუნონ და დემოკრატიულ არჩევნებს, ზუსტად რომ მოგვართმევენ!

*— ფიქრობთ, რომ რაღაც პროცენტს მისცემენ რვიანს?*

— რაღაცას მისცემენ, ოღონდ ეს იქნება ძალიან მიზერული. ყოველ შემთხვევაში, რაზედაც მიდის ლაპარაკი, ბოლო მომენტში გადაუხვევენ ამ პირობას. ესენი რამეს შეასრულებენ ბოლომდე?! საკუთარი სკამების მეტი არაფერი არ აინტერესებთ. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ფიზიკურად მომსპობენ თუ მორალურად, ის რაც 26 მაისს მოხდა, ამას ქართველი ხალხი ვერ დაივიწყებს. ეს იქნება შავი ფურცელი ჩვენი ისტორიისთვის, მაგრამ არანაკლებ შავი ლაქა იქნება პარლამენტში დეპუტატების გამოსვლები, უმრავლესობა მყავს მხედველობაში, ცინიზმით სავსე სიტყვებით რომ გამოდიოდნენ, ერთს არ გასჩენია სინანულის გრძნობა და ტაშსაც კი უკრავდნენ ერთმანეთს. ეს იყო საშინელება, ამან ჩემზე არანაკლებ იმოქმედა.

*— საუბარია, რომ უნდა მოხდეს 26 მაისს მომხდარი ფაქტის ობიექტური გამოძიებაო და ამ ხელისუფლების პირობებში ეს რამდენად შესაძლებლად გეჩვენებათ?*

— მასალა უამრავი არსებობს, ამას აღარ სჭირდება გამოძიება, ყველაფერი ნათლად ჩანს იმ კადრებიდან, რაც არსებობს. დაეშალათ, კი ბატონო, მაგრამ გასასვლელი მაინც დაეტოვებინათ ხალხისთვის. კი ბატონო, ჭავლი იხმარე და თუ გინდა გაზიც იხმარე, მაგრამ ამათ იმდენი რაოდენობის გაზი იხმარეს, რომ წვიმა რომ არ ყოფილიყო, ყველა მოიწამლებოდა. პირადად მე ვიხრჩობოდი ამ გაზისგან. ჩაკეტეს ყველაფერი, სასაკლაო მოაწყვეს და ეს კადრები ხომ ყველას ნანახი აქვს. უმძიმესია ვითარება, მაგრამ როგორც ჩანს, ფიალა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ავსებულა. მე მიკვირს, ხალხს მშვიდად როგორ სძინავს. ის რაც 26 მაისს მოხდა, 27-ში, ჩემი აზრით, თბილისის ქუჩები ხალხით უნდა გავსებულიყო, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ ხალხი გამოფხიზლდება, ხომ იცით, იმედი ბოლოს კვდება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ხალხი არ გამოფხიზლდეს, თორემ მაშინ საქართველო საერთოდ გადაგვარდება როგორც ფიზიკური, ისე ეროვნული თვალსაზრისითაც. ჩვენ დავარწმუნეთ საზოგადოება, რომ უკან დამხევები არა ვართ, ჯერჯეროBით კი, რაც ვთქვით, ყველაფერი ისე გავაკეთეთ. ბრძოლას კვლავაც გავაგრძელებთ, თუ როგორ და რა ხერხებით, ამას ცხოვრება დაგვანახებს.

## ლეიბორისტული პარტია მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტს მოითხოვს

ლეიბორისტები საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტს მოითხოვენ.

როგორც გუშინ პრეზიდენტის სასახლესთან გამართულ ბრიფინგზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ეს არის სააკაშვილის გადადგომის მრავალპარტიული მოთხოვნა და მათ მიერ შედგენილ დოკუმენტს, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, ხელმოსაწერად, ყველა პოლიტიკურ პარტიას გადაუგზავნიან.

მისი თქმით, ყველა იმ პარტიამ, რომელ-



საც პრეტენზია აქვს ოპოზიციონერობაზე, ხელი უნდა მოაწეროს აღნიშნულ დოკუმენტს.

დოკუმენტი ხელმოსაწერად „ახალ მემარჯვენეებს“, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსთვის“, მოძრაობა „თეთრებს“, „სამართლიან საქართველოს“, „საქართველოს გზას“, ეროვნულ ფორუმს, კონსერვატიულ პარტიას, რესპუბლიკურ პარტიას, „ქართულ დასს“, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, თავისუფალ დემოკრატებს, „ქართულ პარტიას“ და „თავისუფალ საქართველოს“ გაეგზავნებათ.

— საქართველოს პოლიტიკური პარტიები პრეზიდენტ სააკაშვილს ვუცხადებთ ეროვნულ-პოლიტიკურ იმპიჩმენტს და მოვითხოვთ მის გადადგომას პრეზიდენტის პოსტიდან, რადგან მან არაერთხელ ჩაიდინა უმძიმესი დანაშაულები, გათელა კონსტიტუცია, ხელისუფლება მრავალჯერ მოიპოვა ძალადობით და მასობრივი გაყალბებებით, მოსპო დემოკრატიის საფუძვლები, დაამყარა ერთპარტიული დიქტატორული რეჟიმი, შექმნა რეპრესიული სისტემა, პოლიტიკური პოლიციით გააუქმა ბიზნესის, მასმედიის, სასამართლოს დამოუკიდებლობა, განახორციელა ადამიანთა მასობრივი დევნა, დაპატიმრება, წამება, მკვლელობა პოლიტიკური მოტივებით, უსასტიკესად არბევს მშვიდობიან დემონსტრაციებს, ჩაება წინასწარ წაგებულ ომში და დაშალა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სახელმწიფოს მთელი სტრატეგიული სიმდიდრეები, გაყიდა ან ხელში ჩაუგდო საკუთარ საოჯახო-პარტიულ ოლიგარქებს, გაალატაკა და სოციალური გენოციდი მოუწყო ხალხს, — აღნიშნულია დოკუმენტში.

ლეიბორისტული პარტია მოუწოდებს საერთაშორისო დემოკრატიულ სამყაროს დიქტატორისა და მის თანამზრახველთა მიმართ უმკაცრესი სანქციები გამოიყენოს.

მედიანიუსი

## „არა!“-მ პარლამენტის წინ აქციაზე „ნაციონალებიც“ დაპატიჟა

მოძრაობა არა!„-ს ლიდერი ლევან ჩიტაძე 25 ივნისს 24.00 საათისთვის პარლამენტის შენობის წინ დაგეგმილ სიმბოლურ საპროტესტო აქციაზე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებსაც ეპატიჟება. ამის შესახებ განცხა-



დება მან დღეს მოძრაობა სოლიდარობა უკანონო პატიმრებს„ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

— 25 ივნისს ჩვენ ვგეგმავთ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ სიმბოლურ საპროტესტო აქციას. თუ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი გააცნობიერებს, რომ 26 მაისს პარლამენტის შენობის წინ გამართული აქციის დაშლისას სამართალდამცველებმა ძალას გადაამეტეს და თუ ამას საჯაროდ აღიარებს, მაშინ 25 ივნისს ჩვენ მიერ დაგეგმილ სიმბოლურ აქციაში მონაწილეობა მასაც შეეძლება, — განაცხადა ჩიტაძემ და საზოგადოებას 25 ივნისისთვის დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობისაკენ მოუწოდა.

მედიანიუსი

# ნახატების თვითნებურად შესრულება საჯარო მოხელეებს ძვირად დაუჯდებათ

**ნანა მიშელაშვილი**

ნახატების და წარწერების გაკეთებაში შემჩნეულ საჯარო მოხელეებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებს იარაღის ტარების უფლებას დროებით ჩამოართმევენ. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის.

ახალი კანონპროექტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოების შენობების ფასადებზე, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებათა სავალ ნაწილზე სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულებაში ხელმეორედ შემჩნეულ მოხელეს, სამი წლით საშტატო-სამსახურებრივი იარაღის ტარების უფლებას ჩამოართმევენ.

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ: თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, პროკურატურის უფლებამოსილ მოხელეებს. ასევე, მოსამართლეებს, სასამართლოს მანდატურებს, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს, ეროვნული ბანკისა და საბანკო დაწესებულებების ინკასატორებსა და მოლარეებს — სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას, სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლებს სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას, კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრებს, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანსა და წევრებს და იმ მთავარ საჯარო თანამდებობის პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებები ან უფროსი და უმაღლესი ოფიცრის სამხედრო წოდებები.

კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები არიან დეპუტატები: პავლე კუბლაშვილი, გიორგი ჩივიაშვილი და ზვიად კუკავა.

# ხელისუფლებას ადვოკატ ქეთი ბექაურის დევნაში ადანაშაულებენ



ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა ადვოკატ ქეთი ბექაურის დევნასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. მასში ნათქვამია:

— ბოლო ერთი თვეა გახშირდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრის, ქეთი ბექაურის მიზანმიმართული დაშინება და დევნა, ხელისუფლება გადავიდა მასიურ ტერორზე.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რამოდენიმე დღის წინ, ქალბატონ ქეთი ბექაურის ავტომანქანას მიაყენეს სერიოზული დაზიანება, რითიც ხელისუფლებამ არაპირდაპირ გააფრთხილა ადვოკატი, რომ თავი შეიკავოს იმ ფაქტების გახმაურებისაგან, რაც უკავშირდება საქართველოს მოქალაქეების წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამომზეურებას.

2011 წლის 23 ივნისს 13:00 საათზე ადვოკატმა ქეთი ბექაურმა გამართა პრესკონფერენცია ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგ მასალები წაიღო თბილისში წითელ ჯვრის მისიის ოფისში. ქალბატონ ქეთი ბექაურის წასვლის შემდეგ, მის ოფისში მივიდა პიროვნება რომელმაც თავისი თავი წარადგინა, როგორც საშემოსავლო სამსახურის თანამშრომელი და მოითხოვა ქეთევან ბექაურის ადგილსამყოფელის გარკვევა. აღნიშნულმა პიროვნებამ არ გამმჟღავნა საკუთარი სახელი და გვარი და დატოვა ქეთევან ბექაურის ოფისი.

აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან ადვოკატთა კორპუსის დევნას.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე მოუწოდებს არასამთვრობო სექტორს და დიპლომატიურ კორპუსს დაიცვას ადვოკატი ქეთი ბექაური სააკაშვილის რეჟიმის ტერორისაგან და მისცენ შესაძლებლობა განახორციელოს პროფესიული მოვალეობები. **ინტერპრესნიუსი**

# გადასახადის ახალი სისტემის წინააღმდეგ პროტესტი უნდა გამოვხატოთ!

**„რესპუბლიკური პარტია“ თბილისის მოსახლეობას დასუფთავების გადასახადის ახალი სისტემის გაპროტესტებისკენ მოუწოდებს.**



როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, თინა ხიდაშელის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თბილისის მერის მიერ შემოთავაზებული პროექტი სრულიად აბსურდული, ლოგიკასა და საღ აზრს მოკლებულია. ასევე, არის მორიგი კაბალური ვალდებულება, რომელსაც თბილისელებს, ხელისუფლების მხრიდან რაიმე დამატებითი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების აღების გარეშე დააკისრებენ.

ხიდაშელის თქმით, გადასახადის ზრდას საერთო არაფერი აქვს სერვისის გაუმჯობესებასთან, ვითარების უკეთესობისაკენ შეცვლასა და მის ადმინისტრირებასთან. როგორც „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, ეს ოთხი წლის წინ განხორციელებულმა თბილისის წყლის„ პრივატიზებამაც დაადასტურა.

— ბოლოდროინდელმა მოვლენებმა თბილისელისთვის სრულიად ნათელი გახადა, რომ „რესპუბლიკელების“ მიერ ოთხი წლის განმავლობაში თბილისის წყლის„ დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ გაკეთებული ყველა განცხადება საფუძვლიანი და დასაბუთებული იყო. თბილისში დასუფთავების გადასახადის ახალი წესის შემოღებამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. „რესპუბლიკელები“ შევეცდებით, ყველა მექანიზმი გამოვიყენოთ, რათა არ დავუშვათ ამ კაბალური ვალდებულების დაკისრება თბილისელებისთვის, — აცხადებს ხიდაშელი.

„რესპუბლიკური პარტია“ მიმართავს დაინტერესებულ პირებს, იმ ადამიანებს, ვისაც შეუძლიათ აღნიშნულ საკითხზე კვალიფიციურად იმსჯელოს, ექსპეტიზა ჩაატაროს, მიიღოს მონაწილეობა საკრებულოს ხვალინდელი სხდომის მუშაობაში.

თინა ხიდაშელი მიმართავს ასევე საკრებულოს თავმჯდომარეს, სხდომაში მონაწილეობის მიღების მსურველ ადამიანებს ხელოვნური ბარიერები არ შეუქმნას.

**ინტერპრესნიუსი**

# ქართველ და რუს ექსპერტებს შორის ურთიერთობა არ უნდა შეწყდეს

**შორენა გონგლა ე**

არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის თანამშრომლობამ“ სასტუმრო „ვერე პალასში“ ეკონომიკის ექსპერტებთან მორიგი შეხვედრა გამართა. ორგანიზაციას ეკონომიკის ექსპერტი გულბაათ რცხილაძე და ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი ხელმძღვანელობენ. აღნიშნული ორგანიზაცია 2009 წელს მოსკოვში დაარსდა, ორგანიზაციის დამფუძნებელი პოლიტოლოგი, ჟურნალ „ექსპერტის“ რედაქტორი ნიკოლაი სილაევია. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ განმარტა, ორგანიზაციის მიზანია ორი ქვეყნის ექსპერტებს შორი ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდეს. როგორც კვე აღვნიშნეთ, „კავკასიის თანამშრომლობის“ მიერ ეს უკვე მეორედ ჩატარებული ღონისძიებაა. ამჯერად კონფერენციაზე მოწვეული ექსპერტები საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ პრობლემებზე მსჯელობდნენ. ორგანიზაციის ხელმძღვანელის გულბაათ რცხილაძის განცხადებით ეს ორგანიზაცია ძალიან ბევრ და მნიშვნელოვან საქმეს გააკეთებს ორ ქვეყანას შორი ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაში.

***— ბატონო გულბაათ, რა მიზნები აქვს ორგანიზაციას და როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტური იქნება ამ ორგანიზაციის მუშაობა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის?***

— ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მოსკოვში, დაარსდა რუსი ექსპერტების მიერ იმ მიზნით, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული მძიმე ურთიერთობების ფონზე, არ შეწყვეტილიყო ექსპერტებს შორის კონტაქტები და დიალოგი. ეს ცენტრი ასევე მოწოდებულია



ჰუმანიტარული თანამშრომლობისათვის. ამ ურთიერთობამ საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო და ქართველმა ექსპერტებმა გადავწყვიტეთ ანალოგიური ორგანიზაცია დაგვეარსებინა, აპრილში უკვე ჩავატარეთ ეკონომიკურ თემებზე სემინარი, სერიოზულმა მომხსენებლებმა, როგორებიც არიან ნოდარ ჯავახიშვილი, დემურ გიორხელიძე, პროფესორი იოსებ არჩვაძე, მათ წარმოადგინეს მოხსენებები საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ მსოფლიო კრიზისისა და აგვისტოს ომის შემდეგ. მსგავს ღონისძიებებს ვაპირებთ, რომ ჩავატაროთ. საჭიროა მოხდეს აზრების და ინფორმაციების ერთად შეგროვება და ამ ფონზე მივაღწიოთ გარკვეულ შედეგს. ეს არის ამ არასამთავრობო ორგანიზაციის კავკასიის თანამშრომლობის მთავარი მიზანი.

***— პოლიტიკურ პარტიებთან თუ გექნებათ ურთიერთობები?***

— ეს არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია და ჩვენი მიზანი არც არის პოლიტიკაში ვიყოთ წარმოდგენილი. ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ საექსპერტო დონეზე.

***— მაგრამ თქვენ მიერ შემუშავებული პროექტები და წინადადებები პოლიტიკამ უნდა განავრცოს და მოიყვანოს სისრულეში...***

— რა თქმა უნდა, ეს მათზე იქნება დამოკიდებული, ვინც ამგვარ გადაწყვეტილებებს იღებს, რამდენად გამოიყენებენ პრაქტიკაში ჩვენს მოსაზრებებს, ეს მათი გადასაწყვეტია, ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში დარწმუნებული ვართ, რომ დადებით მოვლენასთან გვაქვს საქმე, იმიტომ, რომ ეს გვაძლევს იმის შეაძლებლობას, რომ მეტი ცოდნა მივიღოთ როგორც საქართველოს შესახებ, ისე რუსეთის შესახებ და გამოიყენონ ეს თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ამას როგორ გამოიყენებენ, ეს უკვე მათი საქმეა.

***— საინტერესოა რუსი ექსპერტების მოსაზრებები, როგორ მიაჩნიათ მათ ეკონომიკური კუთხით რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების აღდგენის პროცესი?***

— ეს საკითხი დღის წესრიგშია ყოველთვის. ეს ყველაფერი კეთდება სამომავლოდ ფონის შესაქმნელად, რომ მომავალში თუნდაც ეს ეკონომიკური ურთიერთობები იყოს გარკვეული, რა გვინდა ერთმანეთისაგან და რაში შეიძლება ორმხრივი სარგებლის მიღება, დანარჩენი უკვე იმათი საქმეა, ვინც იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას.

# 200 რუს სპეცრამზმელთან ერთად სტრატეგიული ობიექტების დაკავების გეგმა არასერიოზულია

**უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებული ოპერატიული მასალები, რომლის თანახმადაც, „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში შემოსვლას 200 რუს სპეცრამზმელთან ერთად გეგმავდა, არასერიოზულია.**

როგორც ექსპერტმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ოქრუაშვილი ყოფილი თავდაცვის მინისტრია, ხოლო ის ადამიანები, ვინც შს სამინისტრომ ამ საქმესთან დაკავშირებით, დააკავა ყოფილი სამხედროები არიან, ამიტომ, წესით, ისინი კარგად უნდა ერკვეოდნენ ქართული საგუშაგოების მუშაობის პრინციპში და 200 რუს სპეცრაზმელით სტრატეგიული ობიექტების დაკავების იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

— წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრო ასეთ მასალებს იყენებდა, ასე ვთქვათ, პოლიტიკური მიზნებისთვის. ასეთ ვითარებაში ჩნდება ეჭვები, დღეს გავრცელებული მასალების შესაძლო ფაბრიკაციასთან დაკავშირებით, თუმცა ცხადია, რომ გამოძიების დასრულებას უნდა დაველოდოთ და დაცვის მხარის არგუმენტებსაც მოვუსმინოთ. ჩემი აზრით, ის გეგმა, რომლის მიხედვითაც, ირაკლი ოქრუაშვილი აქ ჩამოსვლას და სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა, სრულიად უსაფუძვლო და რეალობისგან მოწყვეტილია. წარმოუდგენელია, როგორ უნდა გამოჰყვეს 200 რუსი ჯარისკაცი ერთ ადამიანს, შემოვიდეს ქვეყანაში და დაიწყოს სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტის დაკავება, მაშინ როდესაც ქვეყნის უსაფრთხოების სისტემას თავისუფლად შეუძლია 200 სპეცრაზმელს გაუმკლავდეს. შეუძლებელია, რომელიმე საგუშაგო დაიკავო ისე, რომ ცენტრალურმა შტაბმა ამის შესახებ ვერაფერი შეიტყოს და რეაგირება არ მოახდინოს. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი სულელურად ჟღერს. 200 კაცით ხელისუფლების შეცვლა, გნებავთ, ძალისმიერი გზით, ვერ მოხერხდება.

ამასთან, გაუგებარია, ამხელა გეგმას თუ ამზადებედნენ რუსეთის ფედერაციას ერთი სატვირთო მანქანა როგორ გაუჭირდა?! ოქრუაშვილი და ის ადამიანები, ვინც შს სამინისტრომ დააკავა, წესით კარგად უნდა ერკვეოდნენ ქართული საგუშაგოების დაცვის პრინციპში, რადგან თავის დროზე სწორედ სამხედრო სფეროში მუშაობდნენ. ოქრუაშვილმა უნდა იცოდეს, რომ ქართული საგუშაგოები საკმაოდ კარგადაა გამაგრებული და მუდმივი კონტაქტი აქვს ცენტრალურ შტაბთან. ასე რომ, მისი მხრიდან რამდენიმე საგუშაგოს ერთდრულად დაკავების და შემდეგ გორის პოლიციის აღების მოლოდინის არსებობა, არასერიოზულად მიმაჩნია, — განაცხადა ექსპერტმა.

მისივე თქმით, ეს ინფორმაცია რომ სიმართლეს შეესაბამებოდეს, ხელისუფლებას მოუწევს თავისი კადრების ლაბორატორიის საფუძვლიანი გადახედვა, რადგან გამოდის, რომ ყველა თანამდებობიდან გათავისუფლებული სამხედრო მაღალჩინოსანი მტრის მხარეს გადადის და საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებას იწყებს.

— რაც ძალიან ცუდად მეჩვენა არის ის, რომ თუ ეს ადამიანები მართლა ასეთ დანაშაულს სჩადიოდნენ საქართველოს წინააღმდეგ, თუ რუსთან ერთად მოდიხარ, ცხადია, რომ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებ, თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, გამოდის, რომ ყოფილი სამხედროები, პოლიციელები, ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები საქართველოს მტრები



ხდებიან, რაც ამ ხელისუფლების ერთგვარი ტრაგედიაა. ამ ლოგიკით, ხელისუფლებას, ვინც კი საუკეთესო კადრი ჰყავდა, იქნება ეს ოქრუაშვილი, ბურჯანაძე, ნოღაიდელი თუ სხვა, ყველა მტრის მხარეს გადადის, რაც ძალიან ცუდია.

გამოდის რომ, როდესაც დღევანდელი ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნებს ვუყურებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ მათ როდესმე თანამდებობებიდან მოხსნიან ისინიც მტრის მხარეს გადავლენ. ეს ძალიან დასაფიქრებელი მოვლენაა. საინტერესოა კადრების რა ლაბორატორია აქვს ამ ხელისულფებას ასეთი, რომ თანამდებობების დაკარგვის შემდეგ ყველა რუსეთთან გარბის?!, — განაცხადა ექსპერტმა.

**მედიანიუსი**

# ედპ ირაკლი ოქრუაშვილის საფრანგეთიდან ექსტრადირებას და გასამართლებას ითხოვს



ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შსს მიერ გავრცელებული მასალების საფუძველზე „ქართული პარტიის" წევრების და ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს.

ედპ მიმართავს ხელისუფლებას, საფრანგეთიდან ირაკლი ოქრუაშვილის ექსტრადირება მოითხოვოს და პოლიტიკურის გარდა, მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დააყენოს.

— სამართალდამცავმა ორგანოებმა მოპოვებული მასალების საფუძველზე მკაცრად უნდა გამოიძიონ ირაკლი ოქრუაშვილისა და მისი პარტიის წევრების ქმედებები. ქართულმა სახელმწიფომ უნდა მოახერხოს, რომ სამართლებრივ საფუძველზე მოხდეს მისი საფრანგეთიდან გადმოცემა. თუ ჩვენ ვართ სამართლებრივი სახელმწიფო ახალი გარემოებიდან გამომდინარე საქართველომ უნდა მოითხოვოს ოქრუაშვილის ექტსტრადირება და შემდგომ უკვე მისი გასამართლება, — აცხადებს ედპ-ს ლიდერი ბაჩუკი ქარდავა.

შეგახსენებთ, რომ შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში შემოსვლას 200-მდე რუს სპეცრაზმელთან ერთად გეგმავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით შსს-მ ოქრუაშვლის პარტიის წევრების სატელეფონო ჩანწერები და აღიარებითი ჩვენების აუდიო და ვიდეო მასალები გაავრცელეს. ირაკლი ოქრუაშვილი ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს, სადაც მას ამ ქვეყანამ თავშესაფარი მისცა.

**მედიანიუსი**

# „ქართული პარტიის" მხარდამჭერთა აღიარებები მოდელირებული „ქრონიკის" გაგრძელებაა

„თავისუფალი საქართველოს" ლიდერის კახა კუკავას განცხადებით, „ქართული პარტიის" მხარდამჭერთა დაპატიმრებები და სატელევიზიო აღიარებები, მოდელირებული „ქრონიკის" გაგრძელებაა.

ამის შესახებ განცხადება კახა კუკავამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისი თქმით, როდესაც ადამიანს დაიჭერენ, მისგან სასურველი აღიარებითი ჩვენებების მიღება პრობლემას აღარ წარმოადგენს და უკვე საჭირო აღარ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ვიდეომასალების გავრცელება, თუ სახელმწიფო არხების მხრიდან ვრცელი რეპორტაჟების მომზადება.

კახა კუკავას აღნიშნული სატელივიზიო აღიარებები კინოფილმ „მონანიებას" ახსენებს.

**ინტერპრესნიუსი**

# „თავისუფალი საქართველო" ხელმოწერების შეგროვებას იწყებს



„თავისუფალი საქართველო" კოდექსის ალტერნატიულ პროექტზე საზოგადოების ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

როგორც პარტიის ლიდერმა კახა კუკავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელისუფლებამ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებულ ე.წ. მოლაპარაკებების პროცესს იგნორირება გაუკეთა. კუკავას თქმით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საზოგადოების ზურგს უკან კულუარული პროცესი (ე.წ. ინდივიდუალური კონსულტაციები) მხოლოდ დროის გაყვანის საშუალებას წარმოადგენს.

— ჩვენმა პარტიამ საარჩევნო კოდექსის ალტერნატიული პროექტი ოფიციალურად დაარეგისტრირა პარლამენტში და დავიწყეთ 30 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერის შეგროვება, როგორც ამას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს. ხელმოწერების შეგროვების შემდეგ საკანონმდებლო პაკეტი განსახილველად უშუალოდ საქართველოს პარლამენტს გადაეცემა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამომრჩევლების მხარდაჭერა, საჯარო და არა კულუარული პროცესი არის პროექტის წარმატების ძირითადი წინაპირობა, — განაცხადა კუკავამ.

„თავისუფალი საქართველოს" ლიდერი საზოგადოებას მოუწოდებს, ხელმოწერების შეგროვების პროცესში ჩაერთონ და მზადყოფნას გამოთქვამს, კანონპროექტთან დაკავშირებით ყველა დაინტერესებული მხარის შენიშვნა გაითვალისწინოს.

**ინტერპრესნიუსი**

# „ფრანი" ლუდს უმღერებს

**25 და 26 ივნისს ვარდების რევოლუციის მოედანზე ცოცხალი მუსიკის კონცერტი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას ცნობილი ქართული ჯგუფები მიიღებენ. საკონცერტო პროგრამაში ჩართულები იქნებიან „ფრანი", „მგზავრები", „როდრიგესი", სალომე კორკოტაშვილი და 4 ცნობილი პაბის ბენდი. ამ კონცერტებით თბილისში ლუდის ფესტივალი ბრუნდება. კომპანია „ნატახტარი" ლუდის მოყვარულებს ფესტივალს განახლებული ფორმატით წარუდგენს. ღონის იება ვარდების რევოლუციის მოედანზე უკვე მეორედ გაიმართება. ის გასული წლის მსგავსად 2 დღის განმავლობაში გაგრ ელდება და გაცილებით უფრო მასშტაბური ღონის იებებით იქნება დატვირთული. ამით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული ლუდის ფესტივალების ქართული ანალოგი ტრადიციულ სახეს მიიღებს.**

*ეკა ირემაშვილი*



პირველი მასშტაბური ლუდის ფესტივალი გასულ წელს დაფუძნდა, რომელსაც რეგიონის მასშტაბით ანალოგი არ გააჩნია. თბილისის ცენტრში, ვარდების რევოლუციის მოედანზე 2 დღის განმავლობაში თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ უწყვეტ ზეიმს, რომელიც მოიცავდა ლუდის გასართობ და საკონცერტო პროგრამას. ფესტივალის ორგანიზების უპირველეს მიზანს წარმოადგენდა ლუდის სმის კულტურის განვითარება, თანამედროვე სტანდარტების ღონისძიების მოწყობა და მის მსოფლიო საფესტივალო სივრცეში ინტეგრირება. 2 დღის განმავლობაში საფესტივალო ტერიტორიაზე განთავსებულ სცენაზე გაიმართა 7 ბენდის კონცერტი. წამყვანების მიერ მოეწყო წამახალისებელი გათამაშებები და შეჯიბრებები. საფესტივალო ტერიტორია ღია იყო 12 საათიდან გვიან ღამემდე. 2 დღის განმავლობაში ფესტივალს 20 ათასამდე სტუმარი დაესწრო.

წლევანდელ ლუდის ფესტივალზეც ყველა მსურველს უფასოდ შეეძლება მოხვედრა. ის უამრავი გასართობი და საინტერესო კომპონენტისგან შედგება. ვარდების რევოლუციის მოედანზე იქნება დამონტაჟებული სპეციალური სცენა, სადაც ლუდის ფესტივალზე ერთდროულად შეძენილ ყოველ 5 კათხა (1 კათხის ფასი იქნება 1 ლარი) ლუდზე სტუმარი მიიღებს 1 ბილეთს, სადაც ექნება შანსი, რომ მოიგოს 5 სხვადასხვა ტიპის საჩუქარი — ქუდი, უფასო ლუდის, სათვალე, კათხა და მაისური. ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა თამაშები და სხვა გასართობი ღონისძიებები. ტერიტორიაზე ორგანიზატორების გადაწყვეტილებით განთავსდება 4 კვების ობიექტი, რომელთა სამზარეულო განსხვავებული იქნება. ვარდების მოედანზე დაიდგმება ხის გრძელი მაგიდები და მთელს ტერიტორიაზე დაიდება თივის შეკვრები. დასავლური ლუდის ფესტივალების ანალოგიურად აქაც გაიყიდება ღონისძიების ლოგოიანი სამახსოვრო სუვენირები და საჩუქრები.

წელს ლუდის ფესტივალზე „ნატახტარის ლიმონათის" ორგანიზებით მოეწყობა სპეციალური კუთხე ბავშვებისათვის. ფესტივალის ორგანიზატორი კომპანია „ნატახტარია". ღონისძიების მხარდამჭერები ქალაქ თბილისის მერია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ტურიზმის ეროვნული სააგენტო არიან.

„ფრანი" სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას აქტიურად იღებს. „თბილისი ივენთ ჰოლში" ჯგუფმა კონცერტი გამართა, რომლის ორგანიზატორიც საქველმოქმედო ფონდი „ხელოვანები თანადგომისთვის" იყვნენ. საღამოზე შემოსული სრული თანხა ფონდის აღსაზრდელებისთვის საჭირო დამატებითი ინვენტარის შეძენას მოხმარდა. დაფუძნების დღიდან მოყოლებული, ფონდის ორგანიზებით დროებით გადაადგილებული ბავშვებისთვის არაერთი საქველმოქმედო პროექტი განხორციელდა: მასტერკლასები, გამოფენები, სუხიშვილების კონცერტი სახელწოდებით „ასსა", „ქველმოქმედება პოდიუმზე", სადაც მონაწილეობას თავად რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული ბავშვები იღებდნენ, რომელთაც შარდენის ქუჩაზე ყოველწლიურ ნაძვის ხეების ფესტივალზე გამოფენილმა 12-მა ქართველმა დიზაინერმა ახალი წლის აღსანიშნავად საჩუქრად, თორმეტ სკოლას თორმეტი განსხვავებული ნაძვის ხე უსახსოვრა. ეს ყველაფერი განხორციელდა (და მომავალშიც მრავალჯერ განხორციელდება), რათა მოძიებულიყო დამატებითი სახსრები ფონდის აღსაზრდელების ნებაყოფლობითი დამატებითი ხელოვნების წრეების შესაქმნელად. საქველმოქმედო ფონდი „ხელოვანები თანადგომისთვის" ორი წელია არსებობს. ის მიზნად ისახავს დროებით გადაადგილებული ბავშვებისათვის მატერიალური და მორალური დახმარების გაწევას. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფონდი ორგანიზებას უწევდა კომპაქტურად დასახლებულ პუნქტებში ხელოვნების სკოლების გახსნას, რომელებიც დღეს უკვე ფუნქციონირებენ. სკოლებში ბავშვები სწავლობენ ხალხურ სიმღერას, ხატვას, ხეზე კვეთას. ფონდის თორმეტივე ხელოვნების სკოლაში დასაქმებულნი არიან დროებით გადაადგილებული პედაგოგები. ხელოვნების სკოლები გაიხსნა გორში, კარალეთში, შავშვებში, წეროვანში, მეტეში, თელიანში, შაუმიანში, მოხისსა და ახალსოფელში. სკოლებში 70 პედაგოგია დასაქმებული და აღნიშნულ წრეებზე უფასო განათლებას იღებს 600-ზე მეტი დროებით გადაადგილებული ბავშვი. ქველმოქმედებაში ჩაერთო „ფეშენ გრუპით", რომელმაც რუსთაველის თეატრის ფოიეში საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა მოაწყო.

# სახელმწიფო განბაჟებული ავტომანქანების რეექსპორტის წახალისებას აპირებს

სახელმწიფო განბაჟებული ავტომანქანების რეექსპორტის ხელშეწყობას აპირებს. შესაბამისი ცვლილება საგადასახადო კოდექსში შედის. მას პარლამენტი, სავარაუდოდ, ხვალისთვის დაგეგმილ რიგგარეშე სხდომაზე დაამტკიცებს. კანონპროექტის თანახმად, თუ პირმა მსუბუქი ავტომობილის იმპორტი განახორციელა და განაბაჟა, ხოლო 15 დღის განმავლობაში მას საექსპორტოდ გაიტანენ, იმპორტიორს საშუალება მიეცემა, ავტომობილისისათვის გადახდილი აქციზის 50 პროცენტი უკან დაიბრუნოს. კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები დეპუტატები: მიხეილ ცქიტიშვილი და ანდრო ალავიძე არიან. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ავტომობილების რეექსპორტის მოცულობის ზრდაზე ოფიცილაური ინფორმაცია არაერთხელ გავრცელებულა. საქართველოს მთავრობაში კი მის მნიშვნელობაზე განცხადება თვის დროზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გააკეთა.

**მედიანიუსი**

# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

# განცხადებები

- ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი პაციენტის შესაძლებლობის მიხედვით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.
- ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აკვიატებები, დეპრესია, აგრესია, ყურებში შუილები, კლიმაქსური ფონი, ციკლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 558-21-77-93; 234-02-38 ფატი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-37-72 ნარგიზა.
- იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან" (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 590-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.
- ქირავდება სასაწყობე და საწარმოო ფართი ქვემო ფონიჭალაში 2000 კვ.მ. შენობა, შენობის სიმაღლე 8 მ. ტერიტორიაზე შედის რკინიგზის ჩიხი. ტელ: 599-51-28-44 ან 599-73-75-73.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# კოტე ტუღუში „არმიას“ მწვრთნელი გახდა

საკალათბურთო კლუბ „არმიას“ ხელმძღვანელობამ, ყველასთვის კარგად ცნობილი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი დაითხოვა და მის ნაცვლად გუნდი ჯერ კიდევ მოქმედ კალათბურთელ, საქართველოს ნაკრების წევრ კოტე ტუღუშს ჩააბარა, რომელიც მოთამაშე-მწვრთნელი იქნება.



„არმია“ ევროტურნირში აპირებს მონაწილეობის მიღებას, ამიტომ ეს ნაბიჯი ბევრისთვის მოულოდნელი იყო. თუმცა, ტუღუშმა მწვრთნელობა მანამდე დაიწყო. მართალია, ბავშვებთან, მაგრამ პირველი ნაბიჯები ამ სფეროში გადადგმული ჰქონდა. ამასთან, ტუღუში მწვრთნელობას კარიერის შემდეგაც აპირებდა, ამიტომ მისი პირველი სერიოზული გამოცდა ახლა მოხდება.

**კოტე ტუღუში:**

— სამ ან ოთხ ივლისს, ბარსელონაში მივემგზავრები, რომელიც შვიდ ივლისს კალათბურთში ევროტურნირების კენჭისყრას მასპინძლობს. კენჭისყრის შემდეგ, რამდენიმე დღეს სლოვენიაში გავატარებ და ძირითადად, □არმიას□ მომავალი ლეგიონერების მოძიებით ვიქნები დაკავებული. ამ ეტაპზე, 4 ლეგიონერისა და ერთი ქართველი კალათბურთელის დამატებას ვაპირებთ. ლეგიონერთა უმეტესობა ამერიკელი იქნება. რაც შეეხება ქართველ კალათბურთელს, იგი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობდა და ჩემს თანაშემწესთან ერთად, მის ვინაობასაც მალე გაიგებთ. ჩემს მთავარ მწვრთნელად ჩემს დანიშვნამდე, გუნდი გივი ბაქრაძემ (უკანახაზელი), გიორგი ვახანიამ (უკანახაზელი), ლაშა დევიძემ (ფორვარდი), გიორგი პირველაშვილმა (ფორვარდი) და სერგო ათუაშვილმა (ცენტრალური თავდამსხმელი) დატოვეს. ჯერჯერობით, გაურკვეველია ცენტრალური თავდამსხმელის, დავით უგრეხელიძის საკითხი, რომელიც ფეხის ტრავმას იშუშებს. ჩემი ჩათვლით, გუნდში დარჩნენ: უკანა ხაზის მოთამაშეები — ანატოლი ბოისა, ლევან მოსეშვილი (უმცროსი), ბუბა ბერიშვილი, დავით საყვარელიძე; ფორვარდები: ვახტანგ მინაშვილი, ზვიად ბაბიაშვილი; ცენტრები: რევაზ ათანელიშვილი, გიორგი შარაბიძე. მიზანი უკვე გარკვეულია — ევროჩელენჯის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრა, ხოლო საქართველოში, ყველა ტურნირის მოგება გვაქვს დაგეგმილი.

# დმიტრი ჩერიშევმა ჯერ „ვოლგა“ და მარცვალაძე არ იცის



ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ ჯერჯერობით ვერც მთავარი მწვრთნელის შეცვლა შველის. „ქართველების გუნდიდან“ დათხოვნილი ომარ თეთრაძის თანამდებობაზე მოსულმა დმიტრი ჩერიშევმა რუსეთის პრემიელიგის მე-15 ტურში “რუბინთან“ 0:2 წააგო.

ჩერიშევმა ამ მატჩში “ვოლგას“ ქართველი ლიდერი ოთარ მარცვალაძე, ბევრისთვის გასაკვირად, ძირითადში არ დააყენა და მწვრთნელს ამასთან დაკავშირებით შეკითხვები უმალ დაუსვეს.

ამასთან, როგორც ჩანს, ნიჟნი ნოვგოროდში ხმაც დაირხა, თითქოს ქართველი თავდამსხმელი გუნდთან განშორებას უკვე ამ ზაფხულსვე აპირებს...

***— ამ მატჩში დადებითსა და უარყოფითს რას გამოყოფდით?***

— გული გაშვებულმა გოლებმა დამწყვიტა. შეცდომები დავუშვით და ამიტომაც დავისაჯეთ. სამაგიეროდ, გამახარა გუნდის აგრესიული სტილით თამაშმა. ეს სწორედ ის სტილია, რომელიც მეორე წრეში “ვოლგასთავის“ სახასიათო უნდა გახდეს.

***— ფეხბურთელები უკვე ხვდებიან, რას ითხოვთ მათგან?***

— დიახ. პროგრესი არის.

***— მოედანზე უცნაური შემადგენლობა გამოიყვანეთ. მაგალითად, რატომ დასვით სათადარიგო სკამზე მარცვალაძე?***

— დრო ძალიან ცოტა მაქვს და ის ფეხბურთელების შესაძლებლობების გასაცნობად არ მყოფნის. ამას მხოლოდ თამაშის მსვლელობისას ვახერხებ. ჩვენი ფეხბურთელები ყველანი კარგები არიან და თამაში შეუძლიათ. გამოვარჩევთ იმათ, ვინც უფრო ძლიერი, უფრო მომზადებული იქნება და სწრაფად აუღებს ალღოს დავალებას.

***— მაგრამ, მარცვალაძე “ვოლგას“ ერთერთი ლიდერია.***

— წინა მატჩში “ზენიტთან“ არცთუ კარგად ჩაატარა და შანსი ვაწაძეს მივეცით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე უკეთესი, ან უარესია. ჩვეულებრივი როტაციაა და ეს ნორმალურია.

***— არის ინფორმაცია, თითქოს მარცვალაძე ნიჟნი ნოვგოროდს ამ ზაფხულს დატოვებს.***

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?! ითამაშეს მათ, რომელთა ნახვაც კონკრეტულად ამ დღეს შემადგენლობაში მსურდა.

***— “ვოლგამ“ ზედიზედ მესამედ წააგო. უკვე იცით, როგორ უნდა გამოსწორდეს სიტუაცია?***

— მოედანზე აგრესიულად უნდა ვითამაშოთ. სწორედ ამ გზით ვივლით. იმედი მაქვს, შევძლებთ.

# დავით მარსაგიშვილი საუკეთესო მოჭიდავეა

სერბეთის ქალაქ ზრენიანინში გაიმართა ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი თვისუფალ სტილით მოჭიდავეთა შორის, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა 2 ოქროს, ერთი ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ 8 მოჭიდავიდან 6-მა მედლის აღება შეძლო, შედეგი მართლაც დიდებულია. გუნდურ ჩათვლაში ნუგზარ სხირელის გუნდმა 63 ქულა დააგროვა და ამდენივექულიან რუსეთთან ერთად პირველობა გაიყო. მესამე ადგილზე კი აზერბაიჯანი გავიდა, 53 ქულით.



შეჯიბრების პირველ დღეს, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების ოთხი წევრი გავიდა ხალიჩაზე და სამმა მედალი მოიპოვა. ბექა პეტრიაშვილმა (74 კგ), რომლისთვისაც ეს ტურნირი სადებიუტო იყო, ფინალის გზაზე უკრაინელი ვიტალი ჟუკოვი, ბულგარელი მიროსლავ კიროვი და უნგრელი ბალინტ მოლნარი ჩამოიცილა, ფინალში კი თურქ აბდულკადირ ოზმენთან ვერაფერს გახდა.

ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა თენგიზ ჩოჩიშვილმა (60 კგ) წინა შედეგის გაუმჯობესების შანსი მეოთხედფინალში დაკარგა, როდესაც აზერბაიჯანელ ხაჯი ალიევთან წააგო. იქამდე ქართველმა მოჭიდავემ მოლდოველი მაქსიმ პეპელიტას ძლევა მოასწრო, ხოლო მას შემდეგ, რაც ალიევი ფინალში გავიდა, ჩოჩიშვილი დამამშვიდებელ ეტაპზე გადაერთო და უნგრელ ჟოზეფ მოლნართან და რუს აბდურახმან ბაგამაევთან მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

თედორე ებანოიძემ (96 კგ) პეტრიაშვილის მსგავსად, პირველად იჭიდავა ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე. ლატვიელ ნიკიტა პეტროვსსა და გერმანელ რობენ მიჩელ ფერდინანდს ძალიან ადვილად გასცდა. ნახევარფინალში კი რუს ბატრაზ გაზაევთან სამსეტიან დაძაბულ ორთაბრძოლაში დამარცხდა და რეპეშაჟის ფინალში კი იტალიელ სტეფანო ტრაპანი დაამარცხა და პირველი ევროპული მედალი დაისაკუთრა.

სამეულს მიღმა ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი პრიზიორი ლაშა ტალახაძე (50 კგ) დარჩა. სერბულ ხალიჩაზე ჭიდაობა საკმაოდ კარგად დაიწყო, მაგრამ სომეხი არტაკ ჰოვანესიანისა და თურქი მუამერ სანჩაკის ჩამოშორების შემდეგ, ნახევარფინალში მოლდოველ გეორგე კოსტინთან ველარას გახდა. რეპეშაჟის ფინალში კი უკვე გერმანელი მარკ ლუიტლისთან დამარცხდა და ჩემპიონატი მეხუთე ადგილით დაასრულა.

განსაკუთრებული გამოდგა მეორე დღე. მართალია კვარცხლბეკზე კვლავ სამი ქართველი ავიდა, მაგრამ სინჯები უკვე მოოქროვილი გახდა.

დავით ხინჩეგაშვილმა (55 კგ) ევროპირველობა სომეხი მატევოს საროიანის ძლევით გახსნა, შემდეგ რუმინელ დავიდ დობრეს, უკრაინელ ვიტალი გურსკისა და თურქ მეჰმეთ სოილერს აჯობა. ფინალში კი რუსი არსენ კურამაგომედოვი დაამარცხა.

დავით მარსაგიშვილს (84 კგ) გასაჩემპიონებლად ოთხი შეხვედრის ჩატარება ეყო, თუმცა, ოთხივეში შეუდარებლად იჭიდავა. თურქი მურატ ოზკონი, უკრაინელი დავიდ კალაშიანი, რუსი ალბერტ ციპინოვი და სომეხი ვაჰე ტამრაზიანი იოლად დაჩაგრა. მარსაგიშვილმა ყველა მეტოქესთან ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა ბრძოლები და არა თუ სეტი, მეტოქეებმა ერთი ქულის აღებაც ვერ მოახერხეს.

მეტიც, მარსაგიშვილი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავედ დაასახელეს.

ნაკრების დებიუტანტი, 17 წლის გენო პეტრიაშვილი მესამე ადგილზე გავიდა. რეპეშაჟში იგი ნახევარფინალიდან გადაერთო, მომავალ ჩემპიონთან, ბელარუს იჰარ ძიატკოსთან წაგების შემდეგ. ამ შეხვედრამდე პეტრიაშვილმა ორი იოლი გამარჯვება მოიპოვა, რუმინელ სანდორ მოლნოსთან და მოლდოველ ეგორ ოლართან, ხოლო რეპეშაჟის ფინალში გერმანელ ტონ ბერნჰარდტს სძლია.

ამ სამი წონითი კატეგორიის გარდა მედლები 66 კილოგრამშიც გათამაშდა. ქართული დროშის ქვეშ დავით ტლაშაძემ იჭიდავა. კარგადაც დაიწყო — ბერძენ გეორგიოს სავულიდისს უპრობლემოდ გაუსწორდა, მაგრამ მერე მომავალ ჩემპიონს, რუს ბაიმირზა ხადისოვს გადაეყარა და სამსეტიანი დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ რეპეშაჟში გადაერთო. ბრინჯაოს მოსაპოვებლად სამი მეტოქის ჩამოშორება სჭირდებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთს — სერბ ნემანია ტომიჩს გასცდა. სომეხ გრიგორ გრიგორიანთან კი ვერაფერს გახდა და ტურნირს გამოეთიშა.

# „დინამომ“ შეკრება დაასრულა, გარსია — აგრძელებს

ავსტრია-სლოვენიაში მყოფნა თბილისის „დინამომ“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. ამჯერად მათი მეტოქე ავსტრიის გრაცის „შტურმი“ იყო. მატჩი პატარა ქალაქ გნასში გაიმართა, 1.500 მაყურებელი დაესწრო და 0:0 დასრულდა.

შეხსენებისთვის, „შტურმი“-„დინამო“ შარშან, ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და ავსტრიელებმა შინ 2:0 იმარჯვეს, ხოლო თბილისში 1:1 დამთავრდა.

დინამოელებს მატჩის მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ 83-ე წუთზე ბურთი ხარიხას გაარტყეს. „დინამო“ დღეს, გამთენიისას დაბრუნდა, ორიოდ დღე დაისვენებს და უეფას ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრისთვის მოემზადება.

— შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად მთელი მატჩი ჩვენი გუნდის უპირატესობით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით პირველი ტაიმი, რომლის მიმდინარეობისას დინამოელები ვალდებული იყვნენ, გაეტანათ, მაგრამ მასპინძელთა მეკარე უშეცდომოდ თამაშობდა. გიორგი ლორიას კი სერიოზულად თამაშში ჩართვა მხოლოდ მეორე ნახევარში მოუწია, — ეს „დინამოს“ პრესსამსახურის ინფორმაციაა.

დინამოელებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ლორია, ოდიკაძე (76 ჰომოლა), თომაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი (46 ხმალაძე), კვეკვესკირი (85 ფირცხალავა), კოშკაძე (70 ახალაია), თექთურმანიძე (60 კახელიშვილი), ლექვთაძე (65 რობერტინიო), ჯილაური (85 ჰაჯიბულიჩი), ფანცხავა (33 იაშვილი; 82 ჯუსი).

შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს“ სულ ახლახან მწვრთნელად ალექს გარსია დაენიშნა. რა სამუშაო გასწია ესპანელმა სპეციალისტმა ორ კვირაში და რა მიზნებს ისახავს, ამის შესახებ კლუბის წარმომადგენლებს უკვე ესაუბრა და მისი ნაუბარი კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

— ძალიან კმაყოფილი ვარ. მთავარია, რომ შევძელით მყუდრო გარემოში, მშვიდად გვემუშავა. გვქონდა საშუალება განგვეხორციელებინა ის, რაც დაგეგმილი გვქონდა. ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა, ჩვენ ყველამ უკეთ გავიცანით ერთმანეთი და რაც შესაძლოა ყველაზე მთავარი იყოს გავუგეთ ერთმანეთს. ფეხბურთელებთან მუშაობა ჩემთვის მარტივი და ადვილი იყო. ჩვენი მოთხოვნებისთვის ისინი მზად იყვნენ. შესაძლოა იმიტომაც, რომ კატალონიელები და ქართველები დიდად არ განვსხვავდებით ერთმანეთისგან. აქ შეკრებაზე 3 შეხვედრაში მხოლოდ 1 ბურთი გავიტანეთ, ისიც პენალტით, თუმცა, საგოლე მომენტები მრავლად გვქონდა. გამომდინარე აქედან უპირველეს ყოვლისა, თავდასხმის ხაზია გასაძლიერებელი. უახლოეს დღეებში ჩამოვყალიბდებით, შესაძლებელია ტრანსფერიც განვახორციელოთ. კარგია და მნიშვნელოვანი, რომ შეკრება ავსტრიის ჩემპიონთან კარგად ჩატარებული მატჩით დავასრულეთ. გამოჩნდა, რომ გუნდი უმატებს, იზრდება. ბევრი რამ ვნახეთ ამ შეკრების განმავლობაში და მივიღეთ ის, რაც დღეს იყო. ანუ ანარეკლი იმ თამაშის, რა მიმართულებითაც მივდივართ. გამოჩნდა კონტურები იმის, რაც გვინდა. იმ კონცეფციის, რისი ხილვაც გვსურს მოედანზე. ბურთის კონტროლი, თამაშის წაყვანა, ორგანიზებული პრესინგი და მთავარი — შეტევა. 30 ივნისს მნიშვნელოვანი მატჩია. ჩვენ ახალ სეზონში პირველ შეხვედრას ვატარებთ. ეს იქნება ჩემთვის პირველი ოფიციალური მატჩი თბილისის დინამოს მთავარი მწვრთნელის რანგში. ძალიან მინდა, რომ ხალხი მოვიდეს და ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ისე ვითამაშოთ, რომ გულშემატკივარი მოვიყვანოთ სტადიონზე.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**კონკაკაფი. ოქროს თასი**

**ნახევარფინალები**

აშშ-პანამა ..... 1:0
ჰონდურასი-მექსიკა ..... 0:2(დდ)
ეჩ-2011. ფინალური ..... ეტაპი(21)
ესპანეთი-ბელარუსი ..... 3:1(დდ)
შვეიცარია-ჩეხეთი ..... 1:0(დდ)

**ლიბერტადორესის თასი**

**ფინალი. განმეორებითი მატჩი**

სანტოსი-პერიანოლი ..... 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-როსტოვი ..... 1:1
ამკარი-ნალჩიკი ..... 1:0
რუბინი-ვოლგა ..... 2:0
სპარტაკი-დინამო ..... 0:2
კრ.სოვეტოვი-ანჟი ..... 0:3
ცსკა-ლოკომოტივი ..... 3:1
ზენიტი-ყუბანი ..... 1:0
კრასნოდარი-ტერეკი ..... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 14 | 9 | 4 | 1 | 29:10 | 31 |
| 2.ზენიტი | 15 | 8 | 5 | 2 | 26:12 | 29 |
| 3.რუბინი | 15 | 7 | 6 | 2 | 23:11 | 27 |
| 4.დინამო | 15 | 7 | 5 | 3 | 21:17 | 26 |
| 5.ანჟი | 15 | 7 | 5 | 3 | 15:11 | 26 |
| 6.ლოკომოტ. | 15 | 6 | 4 | 5 | 23:18 | 22 |
| 7.ყუბანი | 15 | 6 | 3 | 6 | 15:14 | 21 |
| 8.სპარტაკი | 15 | 6 | 3 | 6 | 14:17 | 21 |
| 9.კრასნოდარი | 15 | 5 | 5 | 5 | 16:19 | 20 |
| 10.ამკარი | 15 | 5 | 4 | 6 | 12:17 | 19 |
| 11.ტერეკი | 15 | 5 | 3 | 7 | 13:17 | 18 |
| 12.ტომი | 15 | 3 | 7 | 5 | 15:23 | 16 |
| 13.ვოლგა | 14 | 4 | 1 | 9 | 14:17 | 13 |
| 14.როსტოვი | 15 | 3 | 4 | 8 | 17:25 | 13 |
| 15.კრ.სოვეტ. | 15 | 2 | 5 | 8 | 8:22 | 11 |
| 16.ნალჩიკი | 15 | 1 | 6 | 8 | 11:22 | 9 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ნორჩიოპინგი ..... 3:0
გიოტებორგი-ელფსბორგი ..... 1:1

**ნორვეგია. თასი**

ალტა-ტრომსო ..... 1:0
ბრანი-სონგდალი ..... 1:1(3:2პ)
მიოლდე-ჰონეფოსი ..... 3:1
ოდ გრელანდი-ფრედრიკსტადი ..... 1:2
ალესუნდი-სარპსბორგი ..... 3:0
სტარტი-სტრომგოდსეტი ..... 1:0
ჰაუგესუნდი-ვიკინგი ..... 2:3(დდ)
რუსენბორგი-ლილესტრიომი 1:1(4:1პ)

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ჰაკა ..... 1:1
მარიეჰამნი-მიუპა ..... 1:1
ჰიკი-ტპს ..... 6:0

**აშშ. მლს**

ფილადელფია-კანზასი ..... 0:0
ჩიკაგო-რეალი ..... 0:0

**არგენტინა. კლაუსურა**

ურაკანი-ხიმნასია ..... 0:2

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

ჩერნოგორია-ხორვატია ..... 81:60
პოლონეთი-ლატვია ..... 53:62
საფრანგეთი-ესპანეთი ..... 79:55

**წყალბურთი**

**მსოფლიო ლიგა. სუპერფინალი**

**კაცები**

აშშ-ჩინეთი ..... 13:6
ჩერნოგორია-ხორვატია ..... 5:11
ავსტრალია-კანდა ..... 13:8
იტალია-სერბეთი ..... 10:10(2:3პ)

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**ქალები**

უილიამსი ვ.-დატე კრუმი ..... 6:7;6:3;8:6
ბარუა-ცეტკოვსკა ..... 2:6;7:5;2:6
გაიდისოვა-ბონდარენკო!ა. ..... 7:5;6:3
გერგესი-მედინა გარიგესი ..... 6:3;6:0
ლერსონი-ჰერცოგი ..... 7:6;3:6;4:6
მარტინეს სანჩესი-ნიკულესკუ ..... 6:3;6:0
მატეკი-დოი ..... 4:6;7:5;5:7
პენეტა-ბეგუ ..... 7:6;4:6;6:2
პირონკოვა-მარტიჩი ..... 6:1;6:4
რადვანსკა!ა.-გოვორცოვა ..... 6:0;6:0
როდინა-სჰეპერსი ..... 6:3;7:5
როდიონოვა!ან.-ჰლავაჩკოვა ..... 1:6;2:6
უოტსონი-იოჰანსონი ..... 6:2;4:6;4:6
ციბულკოვა-ლუჩიჩი ..... 3:6;6:3;8:6
ჟენი-ონდრაშკოვა ..... 7:5;6:0
ლისიცკი-სევასტოვა ..... 6:1;6:1
პერვაკი-პარმენტიე ..... 6:2;1:6;6:3
აზარენკო-ბენეშოვა ..... 6:0;6:3
ვინჩი-მარინო ..... 7:6;6:2
ზვონარევა-ვესნინა ..... 6:1;7:6
კერბერი-რობსონი ..... 6:4;6:7;3:6
პეტკოვიჩი-დიუბუა ..... 6:3;4:6;6:3
ჰანტუჩოვა-ერაკოვიჩი ..... 6:3;6:1
კვიტოვა-კეტავონგი ..... 6:2;6:1

**კაცები**

ბერდიხი-ბენეტო ..... 6:1;6:4;6:2
ვავრინკა-ბოლელი ..... 6:7;3:6;6:7
გასკე-კუნიცინი ..... 6:1;6:4;6:4
ფიში-ისტომინი ..... 7:6;6:4;6:4
ნადალი-სვიტინგი ..... 6:3;6:2;6:4
კარლოვიჩი-კუბოტი ..... 6:7;3:6;3:6
ჩელა-ბოგომოლოვი ..... 0:6;3:6;4:6
ანდერსონი-მარჩენკო 6:7;7:6;6:4;4:6;6:1
ლოპესი-შუტლერი ..... 7:6;6:7;6:2;6:2
დიმიტროვი-შტებე ..... 7:5;7:5;7:6
მიურეი-კამკე ..... 6:3;6:3;7:5
მონფილსი-ზემლია ..... 4;6;6:3;6:3;7:6
რაონიცი-მიულერი ..... 3:6;0:6;0:6
სიმონი-სელა ..... 7:6;6;4;7:5
ტურსუნოვი-გულბისი ..... 6:3;3:6;7:6;7:6
როდიკი-ჰანესკუ ..... 6:4;6:3;6:4
ლუბიჩიჩი-სტახოვსკი ..... 6:4;6:4;6:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# კულტურულმა ინსტიტუტმა მემორანდუმი გაგვიფორმა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ხელი მოეწერა მემორანდუმს ეკო-ს კულტურულ ინსტიტუტსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ეკო-ს კულტურული ინსტიტუტის დირექტორმა ჰოჯათოლა აიუბიმ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

ეკო-ს კულტურული ინსტიტუტი მიზნად ისახავს წევრ ქვეყნებს შორის კულტურის სხვადასხვა სფეროში თანამრომლობის გაფართოებას. იმის გამო, რომ საქართველო ესაზღვრება ეკო-ს რამდენიმე წევრ ქვეყანას, ინსტიტუტის ინიციატივით ეკო-სა და საქართველოს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს კულტურულ ურთიერთთანამშრომლობას.

ეკო რეგიონული ორგანიზაციაა, რომელიც 1985 წელს დაფუძნდა ირანში, პაკისტანსა და თურქეთში, ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის მიზნით. 1992 წლიდან ორგანიზაცია გაფართოვდა და დაემატა შვიდი ახალი წევრი, დღესდღეობით წევრი ქვეყნები არიან — ავღანეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, პაკისტანი, ტაჯიკეთი, თურქეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი.

მემორანდუმის ხელმოწერამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ოფიციალური ვიზიტით პირველად იმყოფებოდა აზერბაიჯანში.



— აზერბაიჯანის კულტურული სიმდიდრე საქართველოში ისევე განიხილება, როგორც ქართული კულტურული სიმდიდრე. ჩვენ მათ ვიცავთ ისე, როგორც ქართულს, — ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ აზერბაიჯანში ვიზიტისას ჟურნალისტებთან საუბარში.

ქართულ-აზერბაიჯანულ კულტურულ ურთიერთობებს **ნიკოლოზ რურუამ** მაღალი შეფასება მისცა.

— საქართველოში ფინანსთა სამინისტრო გაზეთს აზერბაიჯანულ ენაზე ბეჭდავს. ჩვენი პროფესიონალები ისტორიულ და კულტურულ მონუმენტებზე ერთად მუშაობენ. მე ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ, თუმცა ყოველთვის არსებობს მეტის გაკეთების სურვილი. ჩემი აზრით, პროცესი სწორი მიმართულებით მიდის, — განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

საქართველოს კულტურის მინისტრმა აზერბაიჯანელებს ევროვიზია 2011-ში გამარჯვებაც მიულოცა.

**ჰოჯათოლა აიუბი, ეკო-ს კულტურული ინსტიტუტის დირექტორი:**

— მოხარული ვარ, რომ ეკოს ორგანიზაციამ ერთ-ერთი უძველესი კულტურის მქონე ქვეყანასთან — საქართველოსთან გააფორმა მემორანდუმი. ეკო არის ჩვენი რეგიონის ერთ-ერთი უძველესი კულტურული ორგანიზაცია და მისი დევიზია — ჩვენ გვაქვს ერთი კულტურა და საერთო კულტურული ღირებულებები. ჩვენი ვალია, მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ მთავარი სიტყვა მსოფლიოში ეთქმის კულტურას. ჩვენს ორგანიზაციაში საქართველოს ადგილი ცარიელი იყო. ახლა კი ბედნიერები ვართ, რომ ეს ადგილი შეივსო და საქართველო ჩვენი წევრი ქვეყანა გახდა.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი:**

— ეს არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც კულტურულ საკითხებში აერთიანებს დააჯლოებით 18 ქვეყანას. საქართველო არ არის ამ ორგანიზაციის წევრი, მაგრამ ამ მემორანდუმით ჩვენ ვართ უკვე მათი თანამშრომლები.

## რამდენად გულისხმიერი ხართ?

ტესტი



1. სამსახურში რაიმე პრობლემა თუ გაგიჩნდათ, შინ თუ ყვებით?
2. ბავშვები რთული ამოცანის ამოხსნას რომ გთხოვენ, მაშინვე თანხმდებით?
3. გიყვართ ტკივილების და ავადმყოფობის შესახებ ჩივილი?
4. გსიამოვნებთ ბავშვების ხმაურიანი თამაშები?
5. სანატორიუმში ჩასული თუ თანხმდებით მრავალადგილიან ნომერს?
6. თუ გაქვთ თანამშრომლების შინ მიპატიჟების ჩვევა?
7. ხშირად უყვებით ახლობლებს, რომ სამსახურში თანამშრომლები გაღიზიანებენ?
8. გიყვართ თუ არა მარტოს კინოში სიარული?
9. მოგწონთ სტუმრების მიღება?
10. თუ გჩვევიათ ტრანსპორტში ადამიანების გაცნობა?
11. თუ გსიამოვნებთ ხალხმრავალ დღესასწაულებში მონაწილეობა?
12. მოგწონთ მრავალრიცხოვან კოლექტივში მუშაობა?
13. გახარებთ თანაკლასელებთან შეხვედრები?
14. შეგიძლიათ უარი თქვათ სასიამოვნო დროსტარებაზე მეგობართან შეხვედრის გამო?

**პასუხები** დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით;

**7-14 ქულა:** ძალიან გულისხმიერი ადამიანი ხართ, გიყვართ მეგობრების წრეში ტრიალი. იქნებ ღირდეს ხანდახან დაუფიქრდეთ, ხომ არ არის ეს ინვიდუალურ თვისებებზე უარის თქმის შედეგი.

**0-7 ქულა:** ცუდადაა საქმე. ეს შედეგი ნიშნავს, რომ არ გიყვართ საზოგადოება და კამპანია. საჭიროა შეიცვალოთ ყოფაქცევა, თორემ შეიძლება ყველა ჩამოგეცალოთ.

გ. თ.

# თეატრალურ უნივერსიტეტში საქველმოქმედო საღამო ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 25 ივნისს საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართება, რომელიც ამავე უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის, სამსახიობო სპეციალობის I კურსის სტუდენტის, 18 წლის ქეთი ჯოხარიძის სიცოცხლის გადასარჩენად თანხის შეგროვებას შეეცდება.

18 წლის სტუდენტს 11 ივნისს რუსთაველის თეატრის წინ დაეჯახა მანქანა. ავარიის შედეგად დაზარალებული ქეთი ჯოხარიძე იმყოფება უმძიმეს მდგომარეობაში — 11 ივნისიდან დღემდე არის კომაში. სამედიცინო დასკვნის მიხედვით სტუდენტს აღენიშნება — კომბინირებული პოლიტრავმა, ქალა ტვინის მძიმე ტრავმა, თავის ტვინის დიფუზური დაჟეჟილობა-შეშუპება; კომა, გულმკერდისა და მუცლის დახურული ტრავმა; ფილტვების დაჟეჟილობა, ბეჭის ძვლის და მენჯის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა, სუნთქვის მწვავე უკმარისობა. ქეთი ჯოხარიძე ამჟამად იმყოფება არამიანცის საავადმყოფოში. მისი ოჯახში არის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში და ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ მკურნალობა 40.000 ლარი ჯდება.

როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ „ახალ თაობას“ განუცხადა, უნივერსიტეტის მხრიდან ადმინისტრაცია, სტუდენტური თვითმმართველობა და თითოეული სტუდენტი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ დაეხმაროს ქეთის. მთელს ქალაქში დგას საქველოქმედო ყუთები, გაგზავნილია მხარდაჭერის თხოვნის წერილები სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში.

25 ივნისს სტუდენტების ინიციატივით იმართება საქველმოქმედო აქცია-კონცერტი მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზას“ მხარდაჭერით, ამავე დაწესებულების ბაზაზე. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ჯგუფები „ფრანი“, „მგზავრები“, „თბილისი“, „ფიცვერცხლი“, „ბანი“, გიორგი ძამუკაშვილის ბენდი და თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება ქეთის მკურნალობას. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 20 ლარია, ხოლო სტუდენტთათვის — 10 ლარი. მისი შეძენა უკვე შესაძლებელია თეატრალურ უნივერსიტეტში ან კონცერტის დღეს კულტურის ცენტრ მუზაში. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა აღნიშნეს, შესაძლებელია ფულის ჩარიცხვა „ლიბერთი ბანკში“ სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე, ან ჯეოსელიდან და მაგთიდან ზარის განხორციელება ნომერზე 200 101.

— იმედს ვიტოვებთ, რომ ყველა ჩვენგანი გაიზრებს აღნიშნულ მდგომარეობას და მხარდაჭერას აღმოუჩენს 18 წლის მომავალ მსახიობს, ქეთევან ჯოხარიძეს, რომელიც ახლა სიცოცხლეს ებრძვის და მისი დახმარება თითოეული ჩვენგანის ვალია, — განაცხადა ჯაბა სიხარულიძემ.

## დაბა წყნეთის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება

გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების გამო დღეს დაბა წყნეთის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება.

„თელასის“ ინფორმაციით, დროებითი შეზღუდვა 10:00-დან 12:00 საათამდე გავრცელდება.

შეზღუდვა შეეხება დაბა წყნეთში რუსთაველის, გრიშაშვილის, ტაბიძის, არსენას, ყაზბეგის, წყნეთის, კეცხოველის და მიმდებარე ქუჩების მაცხოვრებლებს.

სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგებათ.

**ინტერპრესნიუსი**

# შენობების რეაბილიტაციისას დამატებითი ფართების მიშენება იქნება შესაძლებელი

**თბილისში შენობების რეაბილიტაციისას დამატებითი ფართების მიშენება იქნება შესაძლებელი, რომელიც შესაძლოა, რეაბილიტაციის განმახორციელებლების საკუთრება გახდეს.**

ამასთან დაკავშირებით ცვლილება „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონში შედის.

კანონპროექტის მიხედვით, თბილისის მთავრობა დედაქალაქში სარეაბილიტაციო არეალს განსაზღვრავს და რეაბილიტაციაში მონაწლეობის მიღების შესაძლებლობა, მისივე სტრუქტურულ ერთეულებს და?ან მის მიერვე დაფუძნებული იურიდიულ პირს ექნება.

სარეაბილიტაციო არეალში მდებარე თითოეული უძრავი ქონების განვითარება და?ან რეაბილიტაცია კი შესაძლებელი იქნება დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი ბიუჯეტის, რეაბილიტაციის განმახორციელებლი სუბიექტის, მესაკუთრის და?ან მესამე პირების სახსრებით.

რაც შეხება ახალ ფართების მიშენების და მისი მესაკუთრეების საკითხს, პროექტით დგინდება, რომ თუ ხდება მრავალბინიანი სახლის განვითარება ან?და რეაბილიტაცია ისე, რომ მას დამატებითი ფართი არ ემატება, მაშინ ამხანაგობის თანხმობა საჭირო არ იქნება, ხოლო თუ შენობის საერთო ფართი 5 %-ზე მეტით იზრდება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობა იქნება საჭირო, რომლის კრებაზეც გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტირებული თუ განვითარებული შენობის საერთო ფართი 5%-ზე მეტით გაიზრდება, დამატებული ფართობი საკუთრებაში, რეაბილიტაციის განმახორციელებელ სუბიექტს გადაეცემა. ხოლო, თუ უძრავი ქონების მესაკუთრე გაზრდილი ფართობის აშენების დაფინანსებაში მიიღებს მონაწილეობას, მას ფართი გაწეული ხარჯების პროპორციულად დაუმტკიცდება.

ასევე, თუ სარეაბილიტაციო არეალში არამრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია ხდება, მასზე 5%-მდე ფართის მიმატება, მესაკუთრის თანხმობის გარეშე იქნება შესაძლებელი და ის მესაკუთრესვე დარჩება, ხოლო 5%-ზე მეტი ფართის მიმატებისას კი, მესაკუთრის თანხმობა აუცილებელი იქნება.

კანონპროექტში ასევე ხაზგასმულია, რომ სარეაბილიტაციო არეალში, რეაბილიტაციის განმახორციელებლი სუბიექტი მშენებლობის ნებართვას, ნებისმიერ უძრავ ქონებაზე მიიღებს. კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები დეპუტატები კახა ანჯაფარიძე და ანდრო ალავიძე არიან.

**ინტერპრესნიუსი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგული საავტომობილო ფირმა; 2. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 3. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 5. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 6. გერმანული ელექტროტექნიკური ფირმა; 8. ქართველი მოჭიდავე ოლიმპიური ჩემპიონი; 10. ფარული ხრიკები, საძრახისი მოქმედება რაიმე მიზნის მისაღწევად; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 15. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ფრანგი მწერალი.

**თარაზულად:** 1. პირველი შვილი; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ისლანდიის პარლამენტი; 7. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 9. აზიასა და მალაის კუნძულებზე გავრცელებული მაიმუნი; 11. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. ოკეანეში მცურავი ყინულის მთა; 13. დეტექტური ჟანრის ინგლისელი მწერალი ქალი; 17. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 18. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 19. პროფესიონალი მაბეზღარა, დამსმენი, შანტაჟისტი ძველ საბერძნეთში; 20. ყოველივე ფრანგულის მოყვარული ადამიანი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ალპები; 2. სიგალი; 3. რაუტი; 5. უშბა; 6. კორომი; 8. სტურუა; 11. ბუტლეგერი; 13. არომატი; 14. კაბერნე; 15. სისტემა; 19. ზღვა.

**თარაზულად:** 1. ალადასტური; 4. მაზურკა; 7. პალანგა; 9. ტოსტერი; 10. აბული; 12. ფერიჰედი; 16. მისტრალი; 17. ბოჰემია; 18. პენტჰაუზი; 20. რაციონი; 21. რიფი; 22. დისლალია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯარა; 2. რაგბი; 3. ოპიუმი; 5. პასკა; 6. ჩურჩხელა; 8. გოლფსტრიმი; 10. ლივადია; 12. საყდარი; 14. ელგუჯა; 15. რაპიდი; 16. სტელა.

**თარაზულად:** 1. ჯულური; 4. აპალაჩი; 7. გოგენი; 9. მირაჟი; 11. ალილუია; 12. საინგილო; 13. ვარაყი; 17. ჩელიტა; 18. ტირე; 19. ფრენბურთი; 20. ვილაიეთი.

## იუმორი



— რატომღაც ზოგიერთი მოდელი პოდიუმზე ისეთი გაბრაზებული სახით დადის, თითქოს ვიღაცამ მთელი ღამით სექსუალური მომსახურება აიძულა, დილით კი ფული არ გადაუხადა...

***

— უკაცრავად, თქვენთან ისევ თუ მუშაობს ოფიციანტი, მწვადი ვისაც შევუკვეთე?

***

ცოლი სასამართლოში მივიდა და განქორწინება მოითხოვა.

— მიზეზი? — ეკითხებიან.

— ჩემმა ქმარმა ძალიან ბევრი უწმაწური სიმღერა იცის.

— რა, მღერის?

— არა, უსტვენს...

***

ცოლ-ქმარი ერთმანეთს ეალერსება. უცბად კარზე ზარი დარეკეს.

— ეს ალბათ ჩემი ქმარია, — ამბობს ცოლი.

ქმარმა ტანსაცმელს ხელი დაავლო, ფანჯარა გამოაღო და:

— კი მაგრამ, მე ვილა ვარ?

***

— შრომამ ადამიანი დაღლილ ადამიანად გადააქცია...

***

— შეიძლება, თქვენს კატას რომ მოვეფერო?

— რა თქმა უნდა, შეიძლება, ოღონდ, ერთი წუთით მოითმინეთ, იოდს და პლასტირს მოვიტან.

გ. თ.

# პან გი მუნი გაეროს გენერალურ მდივნად დარჩა



გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი კიდევ ხუთი წელი იქნება.

სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ერთხმად რეკომენდებული ერთადერთი კანდიდატი იყო.

გაეროს გენერალურ მდივანს დიდი სახელმწიფოებისადმი მეტად შემწყნარებლურ დამოკიდებულებაში ადანაშაულებენ. სხვები მას ახლო აღმოსავლეთში საპროტესტო გამოსვლების მხარდაჭერისა და კლიმატის გლობალური ცვლილების საკითხებში გატარებული პოლიტიკისათვის აქებენ.

პან გი მუნი გაეროს 2007 წელს ჩაუდგა სათავეში. მისი უფლებამოსილების მეორე ვადა ოფიციალურად 2012 წლის 1 იანვარს იწყება.

გაეროს ქვეყნების წარმომადგენლებმა გენერალური მდივნის კანდიდატურას მხარი აპლოდისმენტებით დაუჭირეს და ფორმალური კენჭისყრა აღარ გაუმართავთ.

ორი კვირის წინ თავისი კანდიდატურის წამოყენებისას პან გი მუნმა განაცხადა, რომ უპრეცედენტო გლობალური ცვლილებების პირობებში გაერო „ხიდების გადების“ პოლიტიკას გააგრძელებს.

ჟურნალისტების თქმით, პან გი მუნის პირველად არჩევის დროს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს ხელს აძლევდათ ის გარემოება, რომ გაეროს ნაკლებად ცნობილი პოლიტიკოსი ჩაუდგებოდა სათავეში.

მას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ თავის საქმიანობაში საჯაროობას ერიდება. პან გი მუნს განსაკუთრებით მკაცრად იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ მან საჯაროდ არ გააკრიტიკა ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატის, ჩინელი დისიდენტის ლიუ სიაობოს დაპატიმრება.

# ევროკავშირმა რუსეთისგან ბოსტნეულის იმპორტის ემბარგოს გაუქმებას მიაღწია



ევროკავშირისა და რუსეთის წარმომადგენლება მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც რუსეთში განახლდება ევროპული ბოსტნეულის იმპორტი.

ამასთან, რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა, „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ იმპორტის დაუყოვნებლივ განახლების განცხადებას გაზვიადებული უწოდა და განაცხადა, რომ სურვილის შემთხვევაში საკითხის გადაჭრა 2-3 საათის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

ევროკომისიის განცხადების თანახმად, რუსეთში საექსპორტოდ გამზადებული საქონლის მიმწოდებლებმა უნდა წარმოადგინონ ორი დოკუმენტი, პროდუქტის წარმომავლობის სერტიფიკატი და ცნობა მასში ბაქტერია ე.კოლი 104-ის ტესტირების უარყოფითი შედეგის შესახებ. ამ ბაქტერიამ დასავლეთ ევროპაში ნაწლავური ინფექციის მწვავე აფეთქება გამოიწვია.

ინფექციის შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა.

გარდა ამისა, ონიშჩენკოს თქმით, მოსკოვი ევროკავშირისგან იმ ლაბორატორიების სიას ელოდება, ვისი გამოკვლევების ნდობაც შესაძლებელია.

ევროკომისიის წარმომადგენლების თქმით, სიის ერთი ნაწილი რუსეთს უკვე გადაეგზავნა, ამიტომ ჰოლანდიიდან, პოლონეთიდან და ბელგიიდან საქონლის რუსეთისაკენ გაგზავნას ხელს აღარაფერი უნდა უშლიდეს.

მიუხედავად ამისა, ონიშჩენკოს თქმით, ჩამოთვლილ ქვეყნებს ჯერჯერობით აუცილებელი სერტიფიკატების ბლანკებიც კი არ გააჩნიათ, ხოლო რუსეთის მხარეს ლაბორატორიების სია არ მიუღია.

რუსეთმა ევროპული ბოსტნეულის იმპორტი 2 ივნისს აკრძალა, გერმანიაში ნაწლავური ჩხირით გამოწვეული ინფექციის გავრცელების გამო. ევროკავშირმა ემბარგოს გაუმართლებელი უწოდა.

რუსეთში ევროკავშირის წარმომადგენლის, დანის დანიილიდისის თქმით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სერტიფიკატების წარმოდგენის აუცილებლობა დროებით ზომას წარმოადგენდა.

იმ შემთხვევაში, თუ ათი დღის განმავლობაში ინფექციის ახალი აფეთქება არ დაფიქსირდება, სერტიფიცირება შეწყდება.

შეთანხმება არ ვრცელდება გაყინულ ბოსტნეულზე, ამიტომ მათი იმპორტი შეუფერხებლად გაგრძელდება.

რუსეთმა ემბარგო ნიჟნი ნოვგოროდში ევროკავშირ-რუსეთის სამიტის დაწყების წინ შემოიღო. ეს საკითხი ევროკავშირ-რუსეთის მოლაპარაკებების მთავარ თემად იქცა.

ბრუსელმა მოსკოვი გააფრთხილა, რომ შემოღებული ემბარგო ეწინააღმდეგეობოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სულისკვეთებას, რომლის წევრად გახდომის სურვილიც რუსეთს გააჩნია.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა პასუხად განაცხადა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სულისკვეთების შესაბამისად რუსეთი თავისი მოქალაქეების მოწამვლას არ აპირებს.

# ვინიცაში ჰიტლერის ყოფილი ბუნკერის მუზეუმად გადაქცევას აპირებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და, რაც ბიუჯეტისთვისაც სასარგებლო იქნებოდა.

წინააღმდეგ გამოვიდნენ კომუნისტური და სოციალისტური პარტიები, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ ეს კომპლექსი ფაშიზმის პროპაგანდა იქნებოდა.

მათი თქმით, მაშინაც კი, როდესაც აქ მუზეუმი არ იყო შექმნილი და გზაზე მხოლოდ მანიშნებელი ისარი იდგა წარწერით „ვერვოლფი“, ვინიცაში ნეოფაშისტები იყრიდნენ თავს და მათი მილიციის ძალით დაშოშმინება ხდებოდა საჭირო.

ვინიცის მხარის ხელისუფლების თქმით, ვეტერანებისგან მათ არაერთი მიმართვა მიიღეს, რომელშიც ისინი მუზეუმის გახსნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამდნენ.

ადგილობრივი ხელისუფლები იმასაც აღნიშნავენ, რომ ჰიტლერის ბანაკის მახლობლად დაკრძალულია ათეულ ათასობით სამხედრო ტყვე და მშვიდობიანი მცხოვრები, რომლებიც ვერვოლფს ახსენებდნენ.

მშენებლობაში ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა იყო ჩართული. თრხილების სათხრელად ბავშვებსაც კი ერეკებოდნენ.

მხარის ხელისუფლების თქმით, მუზეუმის სახელწოდებად „ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნის ისტორიულ-მემორიული კომპლექსი“ შეარჩიეს. ამ კომპლექსში უნდა შესულიყო აგრეთვე დაღუპულების საძმო სასაფლაო.

გარდა სოციალისტებისა და კომუნისტებისა, პროექტს ადგილობრივ მოსახლეობაშიც გამოუჩნდნენ ოპონენტები. მოსახლეობა შიშობს, რომ დაკარგავენ ტერიტორიას, სადაც ამჟამად საქონელს აძოვებენ.

ჰიტლერის ყოფილი ბანაკი ვერვოლფი ვინიციდან 7 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ამ ბუნკერის დანიშნულება აღმოსავლეთ ფრონტზე მიმდინარე საომარ მოქმედებებს, აგრეთვე ინდოეთის და ირანის მიმართულებების ხელმძღვანელობა წარმოადგენდა.

ვერვოლფი ფაქტობრივად ჰიტლერის მთავარი ბუნკერის, აღმოსავლეთ პრუსიაში მდებარე ვოლფშანცეს შემცირებული ასლი იყო.

მას გააჩნდა მინიელექტროსადგური, აეროდრომი, აუზი, წყლით მომარაგების სისტემა. ზედაპირზე 81 ხის სახლი იდგა, მათ ქვეშ სამი რკინაბეტონის ბუნკერი. ჰიტლერის მთავარი ბუნკერის კედლების სისქე 2.5 მეტრია. მისი მშენებლობა 1941 წელს დაიწყო, მოქმედება ბუნკერმა 1942 წლის აპრილში დაიწყო, ხოლო 1944 წლის მარტში უკან დახევის დროს ფაშისტებმა იგი ააფეთქეს. ეს ბუნკერები დღემდე არავის გამოუკვლევია. ამჟამად ვერვოლფის ადგილას მხოლოდ ტყე, ქვის გროვები და აუზის ნანგრევებია შემორჩენილი.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# თურქეთში 5,4 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

თურქეთის ელაზიგის პროვინციაში 5,4 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. თურქული მედიის ინფორმაციით, მიწისძვრას მსხვეპლი არ მოჰყოლია, ინფორმაცია არ ვრცელდება არც ნგრევის შესახებ, თუმცა სხვადასხვა წყაროს ცნობით, რამდენიმ შენობა დაზიანდა.

შეგახსენებთ, რომ ელაზიგის პროვინციაში 2010 წლის მაისში მომხდარმა 6 ბალიანმა მიწისძვრამ 51 ადამიანი იმსხვეპლა, ხოლო 1999 წელს მომხდარი 7,4 ბალიანი მიწისძვრის შედეგად 18,000 ადამიანი დაიღუპა.

**მედიანიუსი**

# იუსტიციის სამინისტროს უკრაინელი ბიზნესმენები ეწვევიან

დღეს იუსტიციის სამინისტროს უკრაინელი ბიზნესმენები ეწვევიან. სტუმრები იუსტიციის მინისტრის მოადგილეს გიორგი ვაშაძესა და მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს დავით საყვარელიძეს შეხვდებიან და ისაუბრებენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა - ანტიკორუფციული პოლიტიკის მნიშვნელობა ქვეყანაში ბიზნესკლიმატის გაუმჯობესების პროცესში, აგრეთვე - დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმები, რომელთა შედეგადაც საქართველო, უკანასკნელი კვლევების მიხედვით, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად დასახელდა.

დელეგაციის წევრები ბათუმის იუსტიციის სახლსაც მოინახულებენ და ადგილზე გაეცნობიან მომსახურების სფეროში გატარებულ რეფორმებს, — აცნობეს „მედიანიუსს“ სამინისტროდან.

**მედიანიუსი**

# რობერტო კარლოსს ბანანი ესროლეს

ტური არ გავა, რუსეთის პრემიერლიგის მატჩისას რაიმე სკანდალი რომ არ მოხდეს. ხან სამართალდამცავები იყებენ ელექტროშოკს, ნახაც გულშემატკივრები დაერევიან ერთმანეთს. ბოლო ტურში კი რობერტო კარლოსს ტრიბუნებიდან ბანანი ესროლეს და ეს რისი მანიშნებელიც არის, კარგად მოგეხსენებათ.

სამარის „კრილია სოვეტოვი“ მახაჩყალის „ანჟის მასპინძლობდა“, მიმდინარეობდა მატჩის 90-ე წუთი, როდესაც ტრიბუნიდან მოედანზე ბანანი ისროლეს, რომელიც რობერტო კარლოსისგან რამდენიმე მეტრში დაეცა. ბრაზილიელმა კაპიტნის სამკლაური მოიხსნა და მოედანი შეხვედრის დასრულებამდე დატოვა, რომელიც “ანჟის“ სასარგებლოდ 3:0 დასრულდა.

სამარის საფეხბურთო კლუბმა “კრილია სოვეტოვმა“ 50.000 რუბლის ოდენობით ჯილდო გამოაცხადა იმ პირისთვის, ვინც ცნობას მიაწვდის იმ გულშემატკივარზე, ვინც “ანჟის“ ფეხბურთელს რობერტო კარლოსს ბანანი ესროლა.



ბოლოს გავრცელებული ინფორმაციით, სამარის „მეტალურგის“ სტადიონზე დამონტაჟებულმა კამერამ ის ადამიანი გადაიღო, რომელმაც მახაჩყალის „ანჟის“ ფეხბურთელს რობერტო კარლოსს ბანანი ესროლა. თუმცა ამ პირის ვინაობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ასე რომ, ფულადი პრემია ჯერ კიდევ ძალაში რჩება.

**მ. ჟ.**

# „ატლეტიკო“ თანახმაა, ფორლანს დაემშვიდობოს

მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ენრიკე სერესომ დაადასტურა ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, რომ თავდამსხმელი დიეგო ფორლანი შეიძლება პრემიერლიგაში დაბრუნდეს.

მადრიდელები არ მალავენ, რომ მზად არიან, ურუგვაელ ლეგიონერს შეელიონ, თუმც კონკრეტული ბრიტანული შეთავაზების თაობაზე ჯერ არსად არაფერი თქმულა. დიეგო ფორლანის გადაბირებით თურქული „გალათასარაი“ იყო დაინტერესებული, მაგრამ თავად ფეხბურთელისგან უარი მიიღო.



— დიეგო ძლიერი ფორვარდია და ნებისმიერ კლუბში შეუძლია თავისი ძალის დამტკიცება, მაგრამ მისთვის პრიორიტეტი პრემიერლიგაში დაბრუნებაა და გადაწყვეტილებას თავად მიიღებს, — განაცხადა სერესომ.

სავარაუდოდ, “მილანის“ შემადგენლობას დატოვებს თავდამსხმელი ანტონიო კასანო, რომელიც, შესაძლოა “ფიორენტინაში“ გადავიდეს. ეს აზრი იტალიურ მედიაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც კლუბის წარმომადგენლებმა ოთხშაბათს შეხვედრა გამართეს.შეხვედრას ორივე კლუბის სპორტული დირექტორი ესწრებოდა. კასანოს მომავალი გაურკვეველია, მაგრამ იტალიის ნაკრებში მოსახვედრად მოთამაშეს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა უნდა ჰქონდეს, რის გარანტიასაც მას „მილანი“ ვერ აძლევს.

**მ. ჟ.**

# სამგლოვიარო განცხადებები

## არტემ ხარბედიას გახსენება

არიან ადამიანები, რომელთა დავიწყებაში უძლურია დრო, რამდენი რამ გადავიტანეთ, ომი, გოლგოთას გზა, ისევ ომი და დევნილობის უმძიმესი 18 წელი. მამა, შენი დავიწყება შეუძლებელია დღემდე, შენი ცხოვრებით ვცხოვრობთ, შენც ჩვენთან ერთად მოდიხარ ჩვენი უმძიმესი ცხოვრების უსასრულო გზაზე, დღემდე ჩვენთან ხარ და მარად ასე იქნება, სანამ ცოცხლები ვართ.

*შვილები მზია და ანზორ ხარბედიები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 24 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **15.00** სერ. "**ხუთი და**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30 წყალბურთი**. საერთ. ტურინირი. საქართველო- საქართველო-**2 21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00, 02.15** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ.ფ."**პეიზაჟი ნისლში**" **02.35** მოამბე **02.55** მხ. ფილმი "**როზმარის ბავშვი**" (15)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **20.00** მხ. ფილმი "**ორმაგი შეცდომა**" 3-4 ს. **01.00** მხ.ფ."**საზღვრებს მიღმა**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **18.45** სერ. "**ავრორა**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ."**დამალული სიმართლე**" **22.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **23.00** ღამის შოუ **00.00** მხ. ფილმი "**შარადა**" (ო. ჰეპბერნი) **02.20** ფლეიბოი იმედზე **03.15** მხ. ფილმი "**განდგომილები**" (15) (ლ. დიკაპრიო) **07.15** სერ. "**ბოშები**"

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** ფარული კამერა **16.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.20, 14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**ხსოვნა და მიტევება**" **12.50, 19.30** სერ. "**ამანდა ო**" **15.00** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** მოკ. ფილმი "სერენადა" **11.00** ჟურნალისტის დღიური **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ**" **13.30** კონცერტი – კონსტანტინე პევზნერი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**სიბრძნე სიცრუისა**" **17.00** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.30** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**არასერიოზული კაცი**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ.ფ."ორშაბათ საღამოს" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**24 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6583

ევრო — 2,4216

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,0597

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-2§, ღამით — 11-13

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 12-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 4-12

## ამინდის პროგნოზი 24 ივნისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ანა ტატიშვილს სენსაციამდე ისევ მცირედი დააკლდა



საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა უიმბლდონის მეორე წრის მატჩი ჩინებულად დაიწყო და მსოფლიოს მეცხრამეტე ჩოგან ბელგიელ იანინა ვიკმაიერს პირველი სეტი 6:3 მოუგო და ახლოს იყო სენსაცია გამოეცხო, თუმცა...

პირველ სეტში ჩვენებურმა მეტოქეს მოწოდება დასაწყისშივე აართვა და იგივე სეტის ბოლოსაც გაიმეორა. საბოლოოდ, 6:3.

ანალოგიურად დაიწყო მეორე სეტიც, მაგრამ ამჯერად ბელგიელმა ქართველს მეორე სეტის პირველივე მოწოდება აართვა და უპირატესობის შენარჩუნება ბოლომდე მოახერხა — 6:4. აღსანიშნავია, რომ ანას 4:5-ზე სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, თუმცა, ვერც ერთის გამოყენება მოახერხა.

მესამე სეტი კი ჩვენებურმა აშკარად დათმო — კლასმა და დიდ ტურნირებში ხშირად მონაწილეობის გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ვიკმაიერმა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა მესამე სეტი და ჩვენებური 6:2 დაამარცხა.

ამის მიუხედავად, ტატიშვილის თამაში შექებას იმსახურებს. ანას უკვე ეტყობა, რომ ძლიერ მეტოქეებს არ ეპუება. ამის დასტურია, საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მარიონ ბარტოლთან და ახლა უკვე ვიკმაიერთან მოგებული პირველი სეტები.

ტატიშვილთან ინტერვიუ ჩოგბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რომელსაც ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

**მ. ჟ.**

## ვინიცაში ჰიტლერის ყოფილი ბუნკერის მუზეუმად გადაქცევას აპირებენ



უკრაინაში, ვინიცას ადგილობრივმა ხელისუფლებმა ჰიტლერის ყოფილი რეზიდენციის, ვერვოლფის ადგილას სამუზეუმო კომპლექსის შექმნა გადაწყვიტეს.

მისი გახსნა გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებით იყო დაგეგმილი, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ იდეას საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ვინიცის ოლქში სტუმრობის დროს ადგილობრივი რეფერენდუმის გამართვის მოსაზრება გამოთქვა, როგორც პოლიტიკური ძალების, ასევე ვინიცის მოსახლეობის აზრის გამორკვევის მიზნით.

სამუზეუმო კომპლექსის შექმნის იდეა საოლქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ნიკოლაი ჯიგას ეკუთვნის. იგი ამ ადგილის ტურისტულ ობიექტად გადაქცევას აპირებ-


გაგრ□ელება მე-11 გვერდზე



# მალე! მალე! მალე!

გაზეთი „ახალი თაობა“ და გამომცემლობა „კლიო“




# გთავაზობთ უნიკალურ გამოცემას

# საქართველოს 100 ღირშესანიშნაობა

## გაზეთი და წიგნი ერთად 15 ლარი


## ასტროპროგნოზი 24 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს მიიღებთ, გახარებული ხართ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, საქმიანი შეხვედრა გელით. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ვიტამინები. **ღრიანკალი** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის სიურპრიზი აქვს. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად მიდის, გელით ახალი შემოთავაზებაც. **მერწყული** — ბევრი საქმე გაქვთ, გაანაწილეთ დრო. **თევზები** — სახლში კარგი ამბებია, ბედი გწყალობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 2. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული გასართობი თავსატეხის შემქმნელი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ჯიხვების ჯოგი; 6. თაღლითი ბანქოს თამაშში; 8. პატარა არია ოპერაში; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 14. პოლონელი მწერლის ბოლესლავ პრუსის რომანი; 15. ქალაქი იმერეთში; 19. აშშ-ს ელჩი საქართველოში.

**თარაზულად:** 1. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 4. ფრანგი დრამატურგი, პიესების „სევილიელი დალაქის“, „ფიგაროს ქორწინების“ ავტორი; 7. კენიის დედაქალაქი; 10. ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 12. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. პიკნიკი ბუნების წიაღში, როდესაც სტუმრებს მწვადით უმასპინძლდებიან; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცებულების გზით; 18. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 20. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 21. ბრიტანული არაყი; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

